645
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ივნისი
№ 6 1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერიკო ანჯაფარიძე

ორმოცდაათი წელია ქა
რთული სცენიდან გაის
მის მომხიბვლელი ხმა —
ხმა საქვეყნოდ ცნობილ
ქართველი მსახიობი ქა
ლისა.

„ჩვენი ვერიკო“ — ამ
ბობენ მასზე ათასობი
ადამიანები და გული სია
მაყით ევსებათ, რადგა
ჭეშმარიტად ბევრი რა
გააკეთა ვერიკო ანჯაფა
რიძემ ქართული თეატრი
სათვის საამაყო და სასა
ხელო. მის შემხედვარეს
არ შეიძლება არ გაახსენ
დეს გრიშაშვილის ლექ
სის სტროფი:

„აავო ოქროს სრა-
ასპარეზი,
ჯერ არ ნახული, ჯერ
არსად თქმული,
ნარნარი, როგორც
ანჯაფარიძე,
ელვარე, როგორც
უშანგის გული...“

მართლაც, ეს ორმოც
დაათი წელია ქართულ
სცენა მისი სრა-ასპარე
ზია. ამ ასპარეზზე შექმ
ნა მან მრავალი შთამბეჭ
დავი სახე, რომელთა მრა
ვალფეროვნება და ელვა
რება ატყვევებს მაყურე
ბელს. ამიტომაა, რომ მა
დლიერი ქართველი ხალ
ხი ულოცავს ძვირფას
მსახიობ ქალს მისი შე
მოქმედების ამ დიდ დღე
სასწაულს.

ჟურნალ „საქართვე
ლოს ქალის“ რედაქციი
კოლექტივი, ჟურნალი
მრავალათასიანი მკით
ველი ულოცავენ საყვა
რელ იუბილარს, უსურ
ვებენ დღეგრძელობას
და ახალ-ახალ შემოქმე
დებით წარმატებას ქარ
თული თეატრის სასახ
ლოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „მე ხმა გულით ვისელოები…“



ქვაფენილზე ვიღაც ჯოხს მოაკაკუნებს. ბრმა მოდისო, — თქვეს და ერთმა ხელი შეაშველა, მეორემ ქუჩაზე გადასვლაში უშველა.

ეს უსინათლო სამათხოვროდ არსად მჯდარა, არ ჰქონია ხელი გაწვდილი კაპიკების შესაგროვებლად.

ბრმები ორმოცი წლის წინათ მათხოვრობდნენ, იჯდნენ გზაჯვარედინებზე, თავშესაყარ ადგილებში… მათთვის არ არსებობდა სხვა რაიმე საარსებო საშუალება, არ ჰქონდათ სპეციალური დაწესებულებანი, სადაც შეეძლოთ საკუთარი შრომით ერჩინათ თავი, ოჯახი, და ყოფილიყვნენ საზოგადოების ღირსეული, სრულუფლებიანი წევრები. ამჟამად ბრმებისათვის გზა ხსნილია, მათთვის, ვინც მოკლებულია თვალხილულ სიამოვნებას, არსებობს სპეციალური ორგანიზაცია — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება.

დღეს საქართველოში ამ საზოგადოებას 27 სასწავლო-საწარმოო წამოწყება აქვს. ისინი თითქმის ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქშია განლაგებული.

უძველესად და უდიდესად ითვლება სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყება, რომელიც მთელი საზოგადოების ბირთვია.

30 წლის წინათ, რამდენიმე უსინათლო ადამიანმა, მ. გრიშაშვილის ხელმძღვანელობით, დაიწყო ცხვრის ქურქის დამზადება, გახსნეს პატარა პრიმიტიული სახელოსნო, შემდეგ ეს სახელოსნო გაფართოვდა, გაიზარდა და მას „მეხშუბა“ უწოდეს. აქვე კალათებსაც წნავდნენ. აქ, ამ მიწაზე დასახლდნენ, აიშენეს საცხოვრებელი სახლები, დაოჯახდნენ…

ასე ჩაეყარა საფუძველი „უსინათლოთა ქალაქს“.

წარმოება დღითიდღე იზრდებოდა. მას სჭირდებოდა თანხები და მცირე მექანიზაციის სპეციალური მანქანა-დანადგარები, ვინაიდან უსინათლოთა შრომა სრულ მექანიზაციას ვერ ეყრდნობა. გამოინახა სახსრები, შეირჩა კარგი ორგანიზატორი — ალი მამედის ძე გოგიბერიძე, რომელსაც ბავშვობაში ჩადენილმა დაუფიქრებელმა საქციელმა (დინამიტის აფეთქებამ) თოთხმე-



ლინოტიპისტი ანაიდა ბუდაგიანი



პლასტიკატების საამქრო. წინა პლანზეა ნათელა ფილიშვილი.



ა. გოგბერიძე ოჯახის წევრებთან ერთად.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ტი წლის ასაკში სამუდამოდ დაუკარგა მხედველობა.

ალი მამედის ძემ დაამთავრა სტალინის სახელობის მოსკოვის კომუნისტური უნივერსიტეტი, შემდეგ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ასპირანტურა, სამი წელი პროფესორ ნიკოლოზ ქოიავასთანაც იმუშავა ასისტენტად.

1941 წლიდან დღემდე იგი სოლანლუღის უსინათლოთა სასწავლო-საწარმოო წამოწყების ღირსეული ხელმძღვანელია. ამჟამად ეს საწარმო, 50-მდე დასახელების სხვადასხვა დანიშნულების მზა ნაწარმს უშვებს. ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში იგზავნება უსინათლოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია: პოლიეთილენის სუფრები, საწვიმარი ლაბადები, საათის სამაჯურები, ბოთლის საცობები, გუაშის საღებავები, საყოფაცხოვრებო ფხვნილები: „ასტრა", „პერსოლი", „ჩაიკა", „თოლია", „ნედე"...

საწნეხი საამქრო ლითონისა და თუნუქის კოლოფებს ამზადებს სხვადასხვა პასტებისა და ფხვნილებისათვის.

საწარმოში ახლახან ჩამოყალიბდა ელექტრომოწყობილობის საამქრო, სადაც მზადდება დღის სინათლის ნათურების ორი დეტალი (კვანძი); სამუშაო დანაწილებულია უსინათლოთა ჯგუფების მიხედვით. ისეთ სამუშაოს, სადაც შრომის პროცესი მექანიზაციას არ საჭიროებს, პირველი ჯგუფის ინვალიდები ასრულებენ. მაგალითად, პოლიეთილენის პარკების დამზადება, მოცულობის მიხედვით საცობთა დახარისხება... შედარებით უფრო რთული სამუშაო მეორე ჯგუფის ინვალიდებს აკისრიათ. არის ისეთი სამუშაოც, რომელიც უეჭველად თვალხილულმა უნდა შეასრულოს. საერთოდ, უსინათლოთა საზოგადოებაში თვალხილულთა რიცხვი მომუშავეთა 40 პროცენტს არ აღემატება. ზოგიერთ საამქროში თვალხილული და უსინათლო რეგულურად შრომობენ, შრომის პროცესი დანაწილებული აქვთ შესაძლებლობის მიხედვით.

უსინათლოებს თავიანთი სტამბაც აქვთ, სადაც ლუი ბრაილის შრიფტით იბეჭდება მხატვრული, პოლიტიკური ლიტერატურა და გამოდის ამავე შრიფტით ნაბეჭდი ყოველთვიური ჟურნალი „სინათლე". ამ შრიფტით ბეჭდვა საქართველოში პირველად ანაიდა ბუდაგიანმა აითვისა. მაშინ იგი ერთადერთი იყო და ყველა ცვლაში უხდებოდა მუშაობა. შემდეგ მას გამოუჩნდნენ მიმდევარი მამაკაცები. ანაიდა დღესაც არ ღალატობს არჩეულ პროფესიას.

საზოგადოების არსებობის ორმოცი წლისთავის გამო ანაიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დააჯილდოვეს. მას სწორედ შრომის პროცესში მივუსწარით, იგი ჟურნალის მორიგი ნომრის აწყობაზე მუშაობდა. გვერდით მოკარნახე ლტმუშაკი ეჯდა, სიტყვებს ხმამაღლა უკითხავდა, ანაიდა კი ექვსი წერტილის კომბინაციას ოსტატურად ტვიფრავდა სპეციალურ თუნუქის ფურცელზე. ამის შემდეგ ბეჭდვა და აწყობა ჩვეულებრივი სტამბური წესით მიმდინარეობს.

წარმოებაში მომუშავე ბევრი ქალი, რომლებსაც არასოდეს უნახავთ სინათლე, არ გაურჩევიათ დღე და ღამე, არც ქმრისა და შვილების გარეგნობისა იციან რაიმე, შრომაშიც მოწინავენი და აგრეთვე კარგი დიასახლისები და კარგი შვილების აღმზრდელებიც არიან.

— ჩვენ ყველაფერს გულით ვხედავთ, — ღიმილით ამბობს ამ წარმოების



ელექტრომოწყობილობის საამქრო. ზაირა ყურშიტაშვილი.

მოწინავე მუშა ქალი ნინო ბეჟუაშვილი. ნინო და ილო ბეჟუაშვილები „უსინათლოთა ქალაქის“ მკვიდრნია. აქ გაიცნეს ერთმანეთი, დაახლოვდნენ, დაოჯახდნენ... ნინომ წლების მანძილზე პატიოსანი შრომით მრავალჯერ ისახელა თავი. აქტიურობდა ჯაგრისების დამზადებაში, ყოველდღიურ გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა. შემდეგ დიდი სიხარული ეწვია ბეჟუაშვილების ოჯახს — პირველი შვილი, პირმშო, თვალხილული დაიბადა.

ოჯახი წელში გაიმართა, მხნეობა და გამბედაობა შეემატათ მშობლებს. ბიჭს თამაზი დაარქვეს. თამაზი ახლა პირველი კლასის წარჩინებული მოსწავლეა. თამაზს ქეთინო მოჰყვა, ქეთინოც თვალხილულია...

ბედნიერი დედაა ნინო, იგი მხოლოდ გულით ხედავს, გულით იხედება შვილების ავ-კარგში და არაფერი გამოეპარება მათი ცხოვრებიდან.

ნინოს მხარდამხარ დგას მრავალი მოწინავე მუშა ქალი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ: თამარ დავითაშვილი, ანა სელივანოვა, ქეთევან გვრიტიშვილი, სონია ბათოშვილი, ბარბარე გულბასაროვა, ლილი პავლოვა, ზაირა ყურშიტაშვილი და სხვა.

შარშან საწარმომ 3.357,2 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად 3.532,5 ათასი მანეთის მზა პროდუქცია გამოუშვა. წელს 3.548 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ვარაუდობენ. ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით გეგმა 25,7 პროცენტით გაიზარდა. გეგმის ზრდა განაპირობა შინმომუშავეთა ნედლეულით დროულად მომარაგებამ.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას არსებობის ორმოცი წელი შარშან დეკემბერში შეუსრულდა. ამის გამო სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდიუმის სამახსოვრო დროშით დააჯილდოვს. ვინ ჩამოთვლის სხვა ჯილდოებს, სიგელებს, მადლობებს, რომლებიც წლების მანძილზე წარმოებამ და პირადად ალი მამედის ძემ დაიმსახურა...

„უსინათლოთა ქალაქს“ 25 ჰექტარი უჭირავს. აქ, ამ ტერიტორიაზე ყველაფერია თავმოყრილი უსინათლო ადამიანთა ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებისათვის: სასადილო, საბავშვო ბაგა-ბაღი, სკოლა, სასურსათო მაღაზია, კულტურის სახლი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, ადგილობრივი რადიოკვანძი... და თითოეული ეს ობიექტი ერთმანეთთან სპეციალური ქვაფენილითაა დაკავშირებული, რომელსაც უსინათლოთა ბილიკი ეწოდება.

ბევრი რამ გაკეთდა უსინათლოთათვის, განსაკუთრებით — ბოლო ათი წლის მანძილზე.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი — ოფთალმოლოგი ვახტანგ გაჩეჩილაძე.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ვორონეჟის ოლქში დანიშნეს ვახტანგი სანიტარული ნაწილის უფროსად. აქ მოუსწრო ომმა. ვორონეჟიდან მისი ნაწილი სმოლენსკის მიმართულებით გაგზავნეს. ვინ არ იცის, იმ წლებში რა ცეცხლი დატრიალდა სმოლენსკში. ყუმბარების გამუდმებული ზუზუნის ქვეშ საველე ჰოსპიტლის ექიმს საკუთარი ზურგით გამოჰყავდა დაჭრილები ცეცხლის რკალიდან.

1941 წლის 24 ივლისს, დილის ოთხ საათზე, ქ. ელნიაში ფაშისტებმა ჰოსპიტალი დაბომბეს. ყუმბარის აფეთქებამ ვახტანგ გაჩეჩილაძეს სამუდამოდ ჩაუქრო თვალის სინათლე.

ექიმი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის საყვარელ პროფესიას, მაგრამ საბოლოოდ მაინც დასძლია სასოწარკვეთილება და იპოვა ახალი გზა, ახალი სამყარო უსინათლოთა საზოგადოებაში — მესამე სასწავლო-საწარმოო წამოწყების დირექტორობიდან ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარეობამდე. მისი ინიციატივით კრწანისში დაიწყო 240-ადგილიანი თვალის კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა, ქუთაისსა და ბათუმში აშენდება 75-ადგილიანი თვალის სნეულებათა დისპანსერი, წყალტუბოში მალე მწყობრში ჩადგება პანსიონატი 50 კაცისათვის, სადაც ყოველწლიურად 700-მდე უსინათლო და მათი ოჯახის წევრები დაისვენებენ, მიმდინარეობს 150-ადგილიანი დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლის დაპროექტება ტაბახმელაში. გაიხსნა 100-ადგილიანი ინვალიდთა დასასვენებელი სახლი ძეგვში მოხუც და მარტოხელა უსინათლოთათვის, ტიპიური სახლი აშენდება თერჯოლაში, სოღანლუღში 400 ბავშვისათვის განკუთვნილ საშუალო სკოლის შენობას გაუკეთდება რეკონსტრუქცია და მისი ტევადობა 960-მდე გადიდდება. მცირემხედველ ბავშვთათვის თბილისში აშენდება 150-ადგილიანი სკოლა-ინტერნატი. ასეთივე სკოლა-ინტერნატი იქნება ქუთაისშიც. უსინათლოებს უმოკლეს დროში ექნებათ 600-ადგილიანი კულტურის სახლი, აშენდება პიონერთა სახლი, სპორტული დარბაზი საცურაო აუზით.

ყოველწლიურად ფართოვდება საბინაო მშენებლობა. და ყველაფერი ეს კეთდება საზოგადოების სახსრებით.

საზოგადოებამ 1966 წელს 50.000 მანეთი გადაურიცხა ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის ფონდს. იგი აგრეთვე შეფობას უწევს ქალაქის სხვადასხვა სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, ეხმარება მათ მატერიალურად...

ვახტანგ გაჩეჩილაძეს ამ დიდ საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველმხრივ ეხმარება მეუღლე, ფილოლოგი ნელი ჯავრიშვილი. მათი ცოლ-ქმრული ურთიერთობა უანგარო მეგობრობის მაგალითია.



მკერავი ანა სელივანოვა.



საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვახტანგ გაჩეჩილაძე.



თამარ დავითაშვილი ამზადებს პოლიეთილენის პარკებს.

• • •

ხავერდის ფარდა ნელ-ნელა იხსნება. სცენაზე მოჩანს უსინათლო ადამიანთა კოლონა, უამრავი შავი სათვალე...

უსინათლოები უმღერიან დღევანდელ დღეს, განახლებულ და აყვავებულ სამშობლოს, მათ ხომ ახალმა ცხოვრებამ მოუტანა ნამდვილი სინათლე!

**ნანული ბუკია**

# ერთ-ერთი საუკეთესო



ახალი, ორსართულიანი თეთრი შენობა, ოთხივე მხრიდან ღია ვერანდებითა და ფართო ფანჯრებით. მწვანე, თვალუწვდენელი ეზო ნორჩი ხეებითა და პალმებით. ისინი ვერ იკავებენ მზის სხივებს. სხივები ბავშვთა სამყოფ დარბაზებს ეფინება.

ეს პატარების ბაღია, მათი მეორე დიდი ოჯახი. ბავშვებთან მუშაობა გარკვეული ცხრილის მიხედვით მიმდინარეობს. მაგალითად, უმცროსი ჯგუფები — ორშაბათს მშობლიურ გარემოს ეცნობიან, სამშაბათს — ხატავენ, ოთხშაბათს — მუსიკას სწავლობენ, ხუთშაბათს — ძერწავენ, პარასკევს — ისევ მშობლიურ გარემოში არიან. მშობლიური გარემოს გაცნობა ძალიან უყვართ პატარებს, განსაკუთრებით აინტერესებთ ფრინველთა სამყარო.

იმ დღეს აღმზრდელმა ძაბული ღვინჯილიამ ბავშვებს წაუკითხა იაკობ გოგებაშვილის ,,ვანო და ჩიტები‘‘.

ოთხწლიანები სწავლობენ ძერწვას. წინა დღეს პედაგოგმა ლეილა ჩიტაიამ აჩვენა, თუ როგორ უნდა გამოძერწონ თვითმფრინავი. ახლა მაგიდებთან სხედან,წინ მუშამბის ნაჭრები უფენიათ და პაწაწინა ხელებით საყვარლად მუშაობენ.

საშუალო ჯგუფს მუსიკის დარბაზში ვარჯიშის გაკვეთილი ჰქონდა. ახალგაზრდა მასწავლებელი მედეა ქარდავა მათთან ერთად ასრულებდა ვარჯიშს — ,,მოვმართოთ მოტორი‘‘. ისინი ყოველ ორშაბათს ვარჯიშის ახალ კომპლექსს იწყებენ და მთელი კვირა ამ სახეობაში ვარჯიშობენ.

უფროსი ჯგუფი უფრო სერიოზულია. ისინი ხატავენ ნაძვის ხეს. შარშან, როცა ლიკანში ისვენებდნენ, იქ ნახეს ნაძვები. მათ იციან, რომ ნაძვის ხე მწვანე ფერისაა, აქვს ტოტები და წიწვები.

— ამიტომ საჭიროა ფერადი ფანქრების გამოყენება, — ახსენებს აღმზრდელი თალიკო კვირტია.

სადილობისას ბაღის დერეფნები ახმაურდება. პატარები რიგის მიხედვით იბანენ ხელებს და მაგიდებთან სხდებიან. ისინი მადიანად შეექცევიან მზარეულების — ნინო ლომიასა და ნატალია ლატარიას მიერ დამზადებულ გემრიელ და ნაირფერ კერძებს.

მენიუსა და ბავშვთა მოძრაობის ბრძანებების წიგნი სანიმუშოდ გამოიყურება. აი, ამონაწერი № 75 ბრძანებისა: მორიგე მასწავლებლის ნ. ივარდავას ცნობით -- 1 მარტისათვის 3-4-წლიანების ჯგუფი — 24 ბავშვი, 4-5 წლიანების ჯგუფი — 26 ბავშვი, 5-6 წლიანების ჯგუფი — 50 ბავშვი, 6-7 წლიანების ჯგუფი — 50 ბავშვი, უნდა გაიცეს საჭირო პროდუქტები 150 აღსაზრდელისათვის და შედგეს მენიუ წინა დღით.

ნასადილევს, როცა პატარებს აძინებენ, ბაღში სრული სიჩუმეა. ძილის შემდეგ იკრიბებიან დიდ დარბაზში და მუსიკის მასწავლებელი დოდო ჯღერია სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილს იწყებს. პატარები ცეკვავენ, მღერიან, ლექსებს ამბობენ, იცინიან უდარდელი ბავშვური სიცილით და ...შეუმჩნევლად ახლოვდება საღამო. სამხრობის შემდეგ, კეთილი დეიდები: ვალენტინა ცაავა და ლოლა ლემონჯავა მათ წასასვლელად ამზადებენ და სამსახურიდან დაბრუნებულ მშობლებს ახვედრებენ.

მშობელთა კომიტეტის წევრები: ტატიანა ჯანაშია, ენდიკო კვირკველია, მიხეილ პერტენავა, ვარდო ნადარაია, მერი ცაგურია და სხვები ზრუნვასა და დახმარებას არ აკლებენ ბაღს.

№ 16 საბავშვო ბაღი ზუგდიდში საჩვენებელ ბაღად ითვლება, საჩვენებელი დაწესებულება კი ყველაფერში სანიმუშო და მისაბაძი უნდა იყოს. მას სათავეში უდგას უნარიანი, გამოცდილი მუშაკი თინათინ მიქელაძე.

პედაგოგი 18 წლის სტაჟით, გეოგრაფი, ბუნების მცოდნე, ყოფილი პიონერხელმძღვანელი, პარტიის წევრი, საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური, ქალაქის საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, შესანიშნავი მეუღლე, შესანიშნავი დიასახლისი, ოთხი შვილის დედა — ასეთია თინათინი.

ბაღის გახსნის დღიდან თინათინ მიქელაძე მისი შეუცვლელი გამგეა. ამ ხუთიოდე წლის წინათ მან ახალი, ტიპიური შენობა ჩაიბარა 4 ჯგუფისათვის, ამჟამად ბაღში 160 აღსაზრდელია. ყველგან იგრძნობა შესანიშნავი წესრიგი. ყოველი კუთხე-კუნჭული სასიამოვნოდ გამოიყურება, ეზოში აქვთ საცდელი ნაკვეთი, სადაც პატარებს შრომასა და საქმის სიყვარულს აჩვევენ. კარგი მუშაობისათვის ბაღმა ბევრჯერ დაიმსახურა ქების სიგელი.

საოცნებოა ყველა მშობლისათვის ისეთი ბაღი, სადაც მის პატარას დედობრივ სითბოს, სიყვარულს და მზრუნველობას არ აკლებენ, სადაც ყველა აღსაზრდელს ასე ჰგონია, რომ მარტო მას ეფერება და ელოლიავება დეიდა თინათინი, სადაც ბაღის 12 პედაგოგი და ტექნიკური პერსონალი კეთილსინდისიერად და უანგაროდ ემსახურებიან ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს.

მათი საზრუნავია პატარების ჯანმრთელობა, განვითარება, გართობა, დასვენება, კვება და სხვა საკითხები. ამას ემატება უახლოესი და მომავლის გეგმები: ეზოს გამწვანება, გასუფთავება, მისი ბაღნარად გადაქცევა, საგარაკოდ გასვლა, შენობის შეკეთება და გაფართოება.

აქ მოდიან სტუმრები უცხოეთიდან, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და აღტაცებული რჩებიან, როცა ხედავენ შესანიშნავად მოვლილ პატარა მოქალაქეებს.

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგარაკზე, ჩვენს ეზოში

აგარაკზე, ჩვენს ეზოში, სამი ბიჭი ისვენებს. სამივეს გია ჰქვია.

უფროსი 5 წლისაა, ჩემი შვილი — ოთხისა. სულ პატარამ კი, სამისა ახლახან გავხდიო, მითხრა.

არაფერში ჩამორჩება ბიჭებს ჩემი გოგონა თამუნია, რომელსაც მხოლოდ სამი თვის წინათ შეუსრულდა ორი წელი.

ჩემი შვილები, რასაკვირველია, დედას მეძახიან. სხვისი შვილები პირველად ლია დეიდას მეძახდნენ, ბოლოს, ვერც მე გავიგე, როგორ მოხდა ეს, ისე დამიძახეს „ლია დედა". ახლა ჩემი და სხვისი პატარებიც „ლია დედას" მეძახიან.

რატომ?

შეიძლება იმიტომ, რომ პატარა და დიდი გიას დედები აქ არ არიან, მხოლოდ შაბათსა და კვირას ამოდიან ჩვენთან, ბავშვები ბებიებთან და გადიებთან ჰყავთ დატოვებული. მოენატრათ პატარებს დედა. იქნებ ამიტომ გადმოიტანეს მისი სიყვარული ჩემზე.

— ლია დედა, კვირა როდის იქნება? — მეკითხება პატარა გია.

— კვირა გუშინ იყო, გია, და კიდევ ექვსი დღის შემდეგ იქნება.

— ლია დედა, ეს დღეები — ორშაბათი, სამშაბათი, ვინ მოიგონა? რატომ მარტო კვირა არ მოიგონა? — წუხს დიდი გია.

დილით ადრე, როგორც კი მზე გაანათებს ჩვენი სახლის შუშაბანდს, შეიშმუშნებიან საწოლში ჩემი პატარები, წამწამებს აახამხამებენ, გაღვიძება უნდათ, მაგრამ უჭირთ, და სწორედ ამ დროს კართან გაისმის პატარა გიას ხმა:

— ლია დედა, კარი გამიღე, მოვედი!

ჩემი შვილები შიშველი ფეხების ტყაპატყუპით გარბიან, ჩემს ძახილს არ ეპუებიან, თუმცა თვითონაც პირველი გავრბივარ, რომ ხელში ავიტაცო, გულში ჩავიკრა ჩემი შვილი.

ჩემი შვილი?... არ არის გია ჩემი შვილი, მაგრამ ვინმემ რომ მითხრას, შენი არ არისო, გამიკვირდება. ისე შევეჩვიე, თითქოს ჩემი სულის ნაწილია ისიც.

მალე მესამე გიაც მოდის. დიდი გია ყველაზე ზარმაცია და ყველაზე ღორმუცელა:

— ლია დედა, საუზმე მალე იქნება?

საუზმის შემდეგ ბავშვები ტყეში გარბიან. ჩვენი სახლი ტყის პირას დგას, ლამაზ, შრიალა ტყისპირას. ჰოდა, ბიჭები თოფს იღებენ და სანადიროდ მიდიან.

ვისზე ნაკლებია თამუნია? თოფი მხარზე გაუდვია და ისიც ბიჭების უკან მიბაჯბაჯებს.

— სად მიდიხართ, ბავშვებო? — ვეძახი.

— სანადიროდ მივდივართ, ლია დედა, სანადიროდ!

— მელია უნდა მოვკლათ!

— მგელი!

— კურდღელი!

— კუდელი ალა! — ღელავს თამუნია. — კუდელი ცოდოა, იტილებს! — და თვითონაც სატირლად ემზადება.

ბიჭები დაცინვით უყურებენ.

— გოგოები სანადიროდ არ დადიან. შენ რატომ მოდიხარ, გოგო? — უწყრება ძმა.

შორიდან გავცქერი. კიდევ დიდხანს ეყოფათ გამბედაობა? შორს წავლენ ტყეში?

მიდიან.

ქვას ვიღებ და ვისვრი.

ჩერდებიან.

— რა იყო? — შეშფოთებით კითხულობს პატარა გია.

— ალბათ, კურდღელი, — ამბობს დიდი. გამბედაობა არ ჰყოფნის, რომ მგელი ახსენოს.

— კურდღელი! — ვეძახი ბავშვებს. —

—კურდღელია ბუჩქებში, ესროლეთ!

— ვაი! — ყვირის თამუნია და თავქუდმოგლეჯილი მორბის ჩემსკენ. გულგახეთქილი ბიჭები ქაქანით მოსდევენ.

— აი, თქვე დოყლაპიებო, რამ შეგაშინათ? — ვიცინი, თან ვეფერები, — წადით სანადიროდ, აქ არა ვარ?

— მეშინია, — ჩურჩულებს ფერდაკარგული თამუნია.

— აღარ გვინდა, ლია დედა...

— აბა, რატომ მაყიდინეთ თოფები?

— აღარც თოფები გვინდა, — გაუბედავად მეუბნება დიდი გია.

— მართალია, თოფი არ არის საჭირო, — მიხარია მე. — აბა, რად გინდათ თოფი? ცუდია, ისვრის, ყველასა ჰკლავს. კურდღლის მოკვლა რომ გინდოდათ, ცოდო არ არის? ხომ იტირებს კურდღლის დედა?

ბიჭები უხალისოდ დებენ თოფს ბალახზე და იქვე სხდებიან. თვალებში შემციცინებენ. ვიცი, რაც უნდათ.

-— იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა, კარგი გოგონა... — ვიწყებ.

— მე, მე! — ყვირის თამუნია.

— შენც კარგი გოგო ხარ, თამუნია. გოგონას დედამ წითელი კაბა შეუკერა...

— მე, მე? — ისევ მაწყვეტინებს თამუნია, ფეხზე დგება და კაბაზე ხელს იკიდებს.

— შენც გიყიდის დედიკო ახალ კაბას, — აწყნარებს ძმა.

— ახალი ფეხსაცმელი უყიდა...

— მე? — უკვე ხმაგაბზარული კითხულობს თამუნია.

— შენც გიყიდი, ჩემო გოგო... წითელი ქუდი დაახურა...

— მე?... — ცრემლი ჩამოსდის თამუნიას.

ძლივს ვაწყნარებ და ზღაპარი გრძელდება, ზღაპარი, რომელიც თამუნიასათვის სინამდვილედ იქცა. თამუნია ყოველ სიტყვაზე მაწყვეტინებს. ბებია ავად გახდა? ნემსი უნდა გაუკეთონ? საწყალი ბებია! დედამ ბებიას ნამცხვარი გაუგზავნა? მასაც უნდა ნამცხვარი! მგელმა ბებია შეჭამა? საწყალი ბებია, რა ეშველება მგლის მუცელში? ხომ ვერაფერს დაინახავს იმ სიბნელეში? ვაიმე, წითელქუდაც შეჭამა? სად არის ამდენ ხანს მონადირე?

— ამ დროს სახლთან მონადირემ გაიარა. რაღაც ხმები შემოესმა, შევიდა სახლში და...

— ბახ! — ყვირის გახარებული გოგონა, — მონადირემ მგელი მოკლა!

— თოფი ესროლა! — ავტორიტეტულად აცხადებს დიდი გია.

— თოფი? — ხმას იღებს ჩემი გია. — ლია დედა, ხომ ყოფილა საჭირო თოფი? თოფი რომ არ ჰქონოდა, რით მოკლავდა მონადირე მგელს?

ბავშვები დიდხანს მეკამათებიან.

ბოლოს, ასკვნიან:

თოფი მხოლოდ მგლების მოსაკლავად არის საჭირო. ზოოპარკში რომ არიან, ისეთი მგლებისა კი არა, ტყეში რომ დადიან, ბავშვებს რომ მშვიდ ძილს უფრთხობენ, ისეთი მგლების მოსაკლავად არის საჭირო!

ლია მიქაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოლოდინი







— დედი, დედი...

— ჰა?

— დედი.

— რა იყო, გოგო?

— დედი, მალე მოვა მატარებელი?

— მოვა, მა რას იზამს.

სადგურზე მილეთი ხალხი ირეოდა. ჩითის თავსაფრიან, გამხდარ ქალს პატარა გოგო გარს უვლიდა და მოსვენებას არ აძლევდა.

— დედი, მატარებელი ომიდან დაუსვენებლივ მოდის?

— რას ამბობ, გოგო?

— ისიც მოიჩქარის?

— ვინ ისიც?

— მატარებელი.

— გაჩუმდი, ნინუცა, თორემ სულ არ მოვა მატარებელი.

— დედი, მამა მართლა ჩამოვა?

— ჩამოვა, მაშ.

ხალხი სუნთქვაშეკრული იდგა და ელოდა შინმოსასვლელებს. ზოგი შინმოუსვლელის პატრონიც გამოსულიყო სადგურში.

— დედილო, რათ იგვიანებს მატარებელი?

— რა ვიცი, შვილო.

— ხო არსად გაფუჭდა?

— რა გააფუჭებდა?

— დედი, მოვა?

— მოვა, შვილო, მა ამდენი ხალხი ტყუილა გამოვიდა სადგურზე?

მზე დასავლეთით გადაყუდებულიყო, მაგრამ მაინც დიდი სიცხე იდგა. ოფლად იღვრებოდა სადგურზე დიდი თუ პატარა.

შორს მატარებლის კივილი გაისმა.

ხალხმა ერთ წამს ყურები სცქვიტა, მერე შეტორტმანდა და ყაყანი ატეხა.

— დედი, მოდის?

— ჰა? — თქვა უაზროდ ქალმა, რომელიც კისერწაგრძელებული იცქირებოდა შორს, სადაც ლიანდაგები წვრილ ხაზებად გარბოდნენ.

— არა ჩანს, ე?

— არა, შვილო, ჯერ არა.

— რა დაემართა, აკი შეიკივლა?

— ცოტა მოიცა, ნინუცა.

მალე გალექებული ორთქლმავალიც გამოჩნდა. ერთი ვიშითა და ქოთქოთით მოიწევდა სადგურისკენ.

— დედი, გამოჩნდა! — იყვირა ნინუცამ.

— ჰო, შვილო, გამოჩნდა.

— ნეტა მამას თუ ჩამოიყვანს?!

— მა რას იზამს, შვილო! — თითქმის ჩურჩულით თქვა ქალმა და გაშრა მოლოდინისაგან.

ორთქლმავალი ხვნეშით შემოვიდა ბაქანზე და ათიოდე ძველი ვაგონი შემოაგრიალა.

ხალხი ერთხელ კიდევ გაინაბა და:

— ნიკო, ბიჭო, ნიკო!

— შვილო, სოსიკო!

— შალიკო!..

შეიქნა ყვირილი, ტირილი, ხვევნა-კოცნა და სადგური დაემსგავსა გულამომჯდარ ქალს.

— დედი, მამა არა ჩანს?!

— ჰა?!

ქალი გაოგნებული მიაწვდებოდა ხალხს, თან ვაგონის ფანჯრებში იყურებოდა, ცალი ხელი ბავშვისთვის ჩაევლო და ზღვა ხალხში მიათრევდა.

ბოლოს ქალი შეჩერდა, თვალები გაუშტერდა, სუნთქვა შეეკრა: მისკენ სამი ჯარისკაცი მოდიოდა: ძმა, ქმარი დ ქმრის ამხანაგი. სამივეს რიგრიგობით გადაეხვია და ცრემლებმა დაულბო ლოყის თავები.

დედის უკან ამოფარებული ნინუცა კაბაზე ექაჩებოდა და ჩუმად ეძახდა:

— დედი, დედი, დედილო...

ქალი როგორც იქნა გამოერკვა და ბავშვს მიუბრუნდა:

— რა იყო, შვილო?

— დედი, მამა რომელია, ე?

— დედა მოგიკვდეს, შვილო, — თქვა ქალმა და მამის წინ დააყენა პატარა ნინუცა. სახენამზეურევი კაცი დაიხარა, ხელში აიყვანა გოგო. მერე მაგრად, ძალიან მაგრად ჩაიკრა გულში და ვეება ვაჟკაცს წყვილი ცრემლი ჩამოუცურდა ყვრიმალზე.

სიცილ-ქვითინმა გადაიარა. ხალხმა შინისკენ იბრუნა პირი.

ოდნავ შემაღლებულ ბაქანზე თითო-ოროლა შაოსანი დარჩა. მათგან ზოგი ხანშიშესული იყო, ზოგიც ახალგაზრდა.

შოთა ასანიშვილი



# ანაგის ქუჩა № 35

ამ სახლში ცხოვრობენ არაჩვეულებრივი ბავშვები. მათ არ უყვართ ეზოდან ქუჩაში გასვლა, უქმად ხეტიალი. არ იციან ერთმანეთთან ჩხუბი, აურზაური. სწავლობენ კარგად, უჯერებენ მშობლებს. როცა მშობლები სამსახურში არიან, იქცევიან სამაგალითოდ და ყოველდღიურად იგონებენ გართობისა და დასვენების საინტერესო ფორმებს.

მივესალმებით ამ ბავშვებს, იმ 132 ბავშვს, რომლებიც ეზოს სპორტულ-პიონერული კლუბის „სიხარულის" წევრები არიან.

გვინდა ყველამ იცოდეს მათი სიხარული, მათი გატაცება და საქმიანობა. გვინდა ყველამ მიბაძოს ამ 132 ბავშვს, 132 წყვილ მშობლებს, ბებიებსა და ბაბუებს, რომ ასე მოაწყონ თბილისის ყველა სახლის ყველა ეზოს ცხოვრება, შექმნან საუკეთესო პირობები ბავშვთა სწავლის, შრომის და ფიზიკური აღზრდისათვის.

ანაგის ქუჩა № 35. ამ მისამართით მოვიდა ახალწლის დილას თოვლის ბაბუა ეზოში. ის იყო ყველა სადარბაზოს ყველა ბინაში, ახალი წელი მოულოცა ყველა ბავშვს. ის არ მოსულა ცარიელი ხელებით. ყველა ბავშვს მოუტანა ტკბილეული. ბავშვებმა გაიხარეს, მერე ყველანი შეიკრიბნენ ეზოში და თოვლის ბაბუასთან ერთად (იგი იყო ფილარმონიის მსახიობი) დაიწყო საახალწლო მხიარულება.

ყველა დღესასწაულს აქ თავისი ელფერი აქვს. ავიღოთ საზაფხულო არდადეგები: როცა ყველანი შინ კარგ ნიშნებს მოიტანენ, კლუბი „სიხარული" მართავს კარნავალს. ბავშვები მშობლების დახმარებით იკერავენ მათი საყვარელი ნაწარმოებების გმირთა კოსტუმებს, განასახიერებენ ამ გმირებს, იწყება ზეიმი. ღამით კაშკაშებენ ელნათურები, ირხევა დიდი და პატარა მობინადრეების ხელით დარგული 200-მდე ხე და უამრავი ვარდის ბუჩქი... საერთო სიხარულია.

ზაფხულშია საინტერესო სპორტული სანახაობაც. მას ჰქვია ეზოს სპარტაკიადა. შესანიშნავი სპორტული მოედანი ერთი წუთით არ არის მოსვენებაში. იმართება შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. სადარბაზოები ეჯიბრებიან ერთმანეთს, სახლის ნაკრები ეჯიბრება პეკინის ქუჩის ბავშვთა გუნდებს. აქ ყველა ბავშვი შესანიშნავი სპორტსმენია. ბევრი მათგანი სპორტის რომელიმე სახეობაში თანრიგსაც ატარებს და ხელმძღვანელობს სკოლის, რაიონის ან ქალაქის ამა თუ იმ გუნდს. „სპორტი ყველასათვის", „ჯანმრთელობა ყველას"—ეს მოწოდები ბავშვებიდან გავრცელდა დიდებში, ხანშიშესულებში, დიასახლისებში, პენსიონერებში.

სულ პატარები, სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სამთვლიანი ველოსიპედით და პედალიანი ცხენით დაჰქრიან. ხანშიშესულები „თევზის ჭერაში" ან ჭადრაკში ეჯიბრებიან ერთმანეთს. გამარჯვებულებს ურიგდებათ სიგელები და ჯილდოები. მთავრდება ერთი და იწყება მზადება მეორე, მომავალი სპარტაკიადისათვის.

ერთ დღეს ბავშვებმა გაიგეს, რომ მოსკოვში, ვოლოკალამსკის გზატკეცილზე, № 13/14 სახლში მამებსა და შვილებს მოუწყვიათ სპორტული მოედნები, იქაც ჩაყრია საფუძველი სპორტულ ტრადიციებს, და დაიწერა წერილი მოსკოველი ბავშვებისადმი. თბილისელები სწერდნენ თავიანთ ცხოვრებაზე, აღწერდნენ თავიანთ კომბინირებულ სპორტულ მოედანს, რომლის მოწყობისას მათ ხელებზე ბებერები გაუჩნდათ, აღწერდნენ აშრიალებულ ხეივანს, ყვავილნარს, რომლებსაც გულმოდგინედ უვლიდნენ და ამრავლებდნენ, სთავაზობდნენ გაეცნოთ ერთმანეთი და სპორტში თავიანთი ძალები გაესინჯათ. მოსკოველებმა მიიღეს თბილისელთა მოწვევა და ვოლოკალამსკის გზატკეცილიდან 12 ბავშვი ანაგის ქუჩაზე მოვიდა. მათი სასტუმრო ის სახლი იყო, სადაც „სიხარულის" წევრები ცხოვრობენ, ვიქტორ ნოვოჟილოვი დაბინავდა თემურ ჭყოიძესთან, ჟენია აპოლონიკი — სურენ მარტიროსოვთან, იგორ გრანოვი — გოგი ბოჭორიშვილთან. ყველანი მოთავსდნენ გულითად მასპინძლებთან. მათ ნახეს თბილისი, კარგად გაიცნეს და შეიყვარეს.



იყვნენ დილის საბჭოთა მეურნეობაში, შეეჯიბრნენ ერთმანეთს სპორტში. ზოგ სახეობაში ანგარიში მასპინძლების სასარგებლო იყო, ზოგ შეჯიბრებაში სტუმრებმა გაიმარჯვეს.

როცა ზამთრის არდადეგები დადგა, თბილისიდან ანაგის ქუჩელები საპასუხო ვიზიტით ეწვიუნენ მოსკოვს. ცდა არ დაუკლიათ მოსკოველ ბავშვებს იმისათვის, რომ მდიდარი შთაბეჭდილებებით აევსოთ თბილისელი მეგობრები. მეგობრობა დღესაც გრძელდება.

კლუბი „სიხარული" 5 წლისაა. აი როგორ დაიბადა იგი 1963 წლის 19 მაისს, პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეს:

ანაგის ქუჩაზე მდებარე სახლი სახელმწიფო ბანკს ეკუთვნის. ბანკის ადგილკომი აქტიურად გამოეხმაურა მოწოდებას — შექმნოდათ ბავშვებს ყველა პირობა საცხოვრებელ ადგილებში სწავლის, შრომისა და ფიზიკური აღზრდის ახალი მეთოდების დასანერგად. ეზოს მობინადრეებმა — დიდებმაც და პატარებმაც აიტაცეს ეს მოწოდება. დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, როცა უკანასკნელი ბადე გაჭიმეს და სპორტმოედანი წესრიგში ჩადგა, პიონერულმა საყვირმა ბავშვებს საპატიო ხაზზე მოუხმო. კლუბის გახსნას ესწრებოდა ბევრი სტუმარი, რომლებიც ენთუზიასტების ხელშემწყობნიც იყვნენ. მოვიდნენ წარმომადგენლები საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომიდან. გახსნას ესწრებოდა მეზობელი — პეკინის ქუჩის 100-მდე ბავშვი. აქ იყო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „სპარტაკის" წარმომადგენელი, რომელმაც შეფობა აღუთქვა კლუბს და საჩუქრად მოიტანა სპორტული ინვენტარი: ველოსიპედები, ბურთები, ფრენბურთის და კალათბურთის ბადეები, ფრენბურთის და კალათბურთის სპორტული ფორმის სრული კომპლექტი. სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ბავშვებს გადასცა ჩოგბურთის მაგიდა და მისი კომპლექტი. მისალმებების შემდეგ დაიწყო სპორტული შეჯიბრებები, გვიან ღამემდე გრძელდებოდა ზეიმი ეზოში.



კლუბი „სიხარული" გარკვეულ წლებს ითვლის. მას მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. გაიზარდნენ კლუბის წევრები, გაიზარდნენ გონებრივად, ასაკობრივად. კლუბის თავმჯდომარე თამაზ კერესელიძე დღეს უნივერსიტეტის სტუდენტია. იგი შესანიშნავად ხელმძღვანელობს კლუბის მუშაობას, რაც გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. კლუბის წევრთა შორის ბევრი ნიჭიერი ბავშვია. კლუბს ჰყავს თავისი მომღერლები და მოცეკვავეები. კლუბის წევრმა გივი აბესაძემ წარჩინებით დაამთავრა ქორეოგრაფიული სკოლა და ამჟამად ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტია. იგი ბავშვებს ასწავლის ცეკვას, საუბრობს მათთან ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხებზე. ბავშვთა სპორტული შეჯიბრებების უცვლელი მსაჯია კლუბის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სახბანკის საქართველოს კანტორის განყოფილების გამგე შოთა ხეთაგიშვილი. ეზოში არიან სამამულო ომის მონაწილენი, რომლებიც ბავშვებს ჩვენი ხალხის იმდროინდელ გმირობაზე უყვებიან, ეზოში ცხოვრობენ შრომის მოწინავენი, მათ მაგალითს დიდი გავლენა აქვს ბავშვებზე. ბავშვები მოგზაურობენ მშობლიურ მხარეში, სწავლობენ ისტორიულ ადგილებს, ეცნობიან თბილისის მიდამოებს. მათ აქვთ კინომოყვარულთა წრე და იღებენ კინოფილმებს ეზოს ცხოვრებაზე, ექსკურსიებზე.

გაიზარდონ ბავშვები ფიზიკურად ძლიერნი!

განუვითარდეთ ესთეტიკური ჩვევები!

ყველასადმი და ყველაფრისადმი შექმნათ კომუნისტური დამოკიდებულება!

ამას აღწევს სპორტულ-პიონერული კლუბი „სიხარული" ანაგის ქუჩაზე, № 35 სახლში.

მშობლებო! თქვენც გყავთ შვილები! მიბაძეთ კომუნისტური ყოფის ეზოს ანაგის ქუჩაზე!

შეუქმენით თქვენს ბავშვებს სიხარული!

**ლია კაკაბაძე**

# წაუკითხეთ პატარებს

**მარიჯანი**

## მარიკა და დიდედა

— ბებიკო, რა გეშველება, რომ ავად ხარ და დღეს ვერ წამოხვალ ჩემი ამხანაგის „დაბადებაზე"? — სწუხდა პატარა მარიკა.

— არაფერია, დედა წაგიყვანს. შენ გაიხარე, მე კი შინ ვიქნები მარტოკა, უშენოდ — მოწყენილი.

— ბებიკო, იცი რა? — არ იტირო, ჩუმად იწექი, შინ არვინ რჩება, და აბა ვინ შეგიბრალებს? — არიგებდა მარიკა.

* * *

ერთხელ მარიკა გაჯიუტდა, ხილის ჭამაზე უარი თქვა.

— არ მინდა, არ მინდა, არ მინდა და არ ვჭამ!

დიდედამ უთხრა:

— მე ასეთი არ ვიყავი. დედა რომ მაძლევდა ყოველ დილით ყურძენს და ნიგოზს, სიამოვნებით გიახლებოდით.

მარიკამ გადაიხარხარა:

— განა დიდედასაც დედა ჰყავს?

— მაშ როგორ? — გაეღიმა დიდედას. — მეც შენსავით ერთ დროს პატარა ვიყავი. კიდევ კარგი, რომ სურათი მაქვს და ახლა გაჩვენებ.

დიდედამ გადმოიღო კოლოფი, ამოიღო ბავშვობის სურათი და უჩვენა.

მარიკა დიდხანს უცქეროდა და მაინც ვერ წარმოედგინა, რომ მისი დიდედაც ოდესმე თავისი ბავშვი იყო.

**ციური კახნიაშვილი**

## პატარა ცირას სიზმარი

ცირას ძალიან უყვარს ყვავილები, მაგრამ ყველას მაინც ვარდები ურჩევნია... ამიტომაც იყო, რომ ვარდის ნერგი ბებოს სოფლიდან ჩამოატანია.

გოგონა თავს ევლებოდა ვარდებს. დილა ადრიან დგებოდა და სარწყავით ხელში ჯარასავით ტრიალებდა.

მალე იხარეს ვარდებმა.

თეთრი და წითელი კოკრები ისეთ სურნელებას აფრქვევდნენ ირგვლივ, რომ ცირა ვეღარ შორდებოდა იქაურობას. როცა საქმეს მორჩებოდა, ჩამოჯდებოდა და ოცნებობდა. თავი ხან სახელგანთქმულ აგრონომად წარმოედგინა, ხან — მებაღედ...

ერთ ღამეს საშინელი სიზმარი ნახა: ვითომ მის ვარდებს დაუნდობლად გლეჯდა პატარა მალხაზი და ქარს ფურცელ-ფურცელ ატანდა.

— მალხაზ! — შეჰყვირა ძილში ცირამ, — რას სჩადი, რატომ აფუჭებ ვარდებს?... — და ტირილი დაიწყო. ტირილმა გამოაღვიძა. მაშინვე წამოხტა საწოლიდან და გარეთ გავარდა. როცა ვარდები უვნებლად ნახა, გაეხარდა და კისკისი მორთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასი პირველი ზარი

ქართლისა და ოსეთის მიჯნაზე, ჯავის მახლობლად, სოფელ ვანათში მცხოვრები დიმიტრი კასრაძის მთელი ოჯახი ცისკრიდანვე ფეხზე იდგა, მეექვსე ქალიშვილი ნინო პირველად მიდიოდა სკოლაში, პირველად უნდა დამჯდარიყო მერხთან. ეს იყო 1903 წელს.

...1913 წლის 1 სექტემბერსაც დაირეკა პირველი ზარი, მაგრამ ახლა ნინო, რომელსაც ეპარქიალური სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, პირველად შედიოდა სკოლაში როგორც მასწავლებელი. ბუნებრივია ღელავდა, შიში დაუფლებოდა. კარგად იცოდა, თუ რა ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეს ჰკიდებდა ხელს.

მას შემდეგ 53-ჯერ დაირეკა ნინოს აღსაზრდელ პირველკლასელთათვის პირველი ზარი. ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, დამსახურებული პედაგოგი, პერსონალური პენსიონერი, ლენინის ორდენით, მრავალი მედლებით და სიგელებით დაჯილდოებული ნინო დიმიტრის ასული კასრაძე 53 წელიწადი მხოლოდ პირველ კლასელებს ემსახურებოდა და ასწავლიდა. ადამიანის ჩამოყალიბებას, მის საუკეთესო მოქალაქედ აღზრდას სწორედ პირველი კლასიდან ეყრება საფუძველი თუ მშობლის შრომას კარგი მასწავლებლის შრომა უერთდება. ბავშვი სასარგებლო და სასიქადულო იზრდება. ამიტომ იყო, რომ ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლისა და მშობლის საზრუნავი ერთი იყო — ნინო მასწავლებლისათვის, დედის მსგავსი ადამიანისათვის მიენდოთ პირველკლასელის მომავალი.

ნინო მასწავლებელი თავიდანვე ხდებოდა გულუბრყვილო არსების მესაიდუმლე. იგი ცოდნა-გამოცდილებით, საოცარი ალღოთი ახერხებდა თითოეული ბავშვის გონების გასახსნელად ცალკეული „გასაღების" გამოძებნას.

ვათვალიერებ ნინო კასრაძის პატარა არქივს, ათეული წლების მანძილზე დაგროვილ ფოსტას, უკვე ჩაყვითლებული წერილების გროვას, სურათებს და გულისტკივილით შევყურებ ნინოს გათეთრებულ თმას, ხანდაზმულ სახეს, რომელსაც ტკბილი ღიმილი დასთამაშებს და ვადარებ მის ახალგაზრდობის სურათებს. მაგრამ მაინც წელში გამართული, ჭარმაგი ქალია, ძლიერი შთაგონების და მახვილი გონების, ენერგიული და ჭკვიანური სიტყვის...

— პატივცემულო ნინო, ასეთი დიდი ნდობა და სიყვარული ბავშვებში მაინც როგორ მოიპოვეთ?

— უბრალოდ. მასწავლებლობა, როგორც ჩანს, ჩემი მოწოდება იყო, — ღიმილით მიპასუხებს ნინო კასრაძე, — ჩემი და მასწავლებელი იყო, აწ განსვენებული აკადემიკოსის კორნელი კეკელიძის მეუღლე გახლდათ. დის კვალს გავყევი.

ნინო ბავშვისადმი სათნო მიდგომით გაცილებით მეტს აღწევდა, ვიდრე ყვირილითა და სასჯელის სხვადასხვა მეთოდით.

— არასოდეს ხმამაღალი სიტყვა არ მითქვამს, ბავშვი არ დამისჯია, გარეთ არ გამიგდია, მიმიკით და დაყვავებით ვმოქმედებდი. პირველი ორი კვირა ყოველთვის ბავშვის მეტყველებასა და მეხსიერებაზე ვმუშაობდი. მერე გადავდიოდი ანბანის — წერა-კითხვის სწავლებაზე. ვუამბობდი, სოფელში ბუჩქის ძირას ერთმა ბავშვმა როგორ აღმოაჩინა ია და წამოიძახა: „ია, ია!" ა-ს ნახევარმთვარეს, ან ნამგლის წრეს მივამსგავსებდი, ი-ს კი შეუერთებელ წრეს. ასეთი საშუალებით ბავშვს ანბანის გარდა მხატვრობასაც ვაჩვევდი.

— რიცხვების წერის შეთვისებასაც ასევე იოლად აღწევდით?

— იოლად, — და ნინოს ახალგაზრდულად აენთო თვალები. — ჩემთვის ყველაზე ადვილია ნორჩ თაობასთან მუშაობა, დიდი და პატარა ხუთიანების წერა. ნიშან ხუთიანის დაწერას მხოლოდ მაშინ ვიწყებდი, როცა ბავშვი რიცხვ ხუთიანის დაწერას შეისწავლიდა, მაგრამ დიდი ხუთიანი ეწერებოდა მხოლოდ მას, ვინც უფრო გამრჯე და ხელიანი იყო. ასე იწყებოდა ბავშვების ერთმანეთთან კეთილი შეჯიბრების საწყისებიც.

ნინო იყო რაიონული და სკოლის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, როგორც მეთოდისტი, მონაწილეობდა „დედაენაში" შეტანილ ცვლილებებში, 20 წელიწადზე მეტი ადგილკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, გახლდათ მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის აქტიური მონაწილე, საარჩევნო უბნების კომისიის წევრი, აგიტატორი.

მისი აღზრდილები ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობენ, მათ შორის არიან ექიმები, ინჟინრები, მხატვრები, აგრონომები, ქარხნის წამყვანი ოსტატები და სამამულო ომში სახელმოხვეჭილი ადამიანებიც. აი, როსტოვის ოლქის ზინოვნიკის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლიდან მიღებული გაცრეცილი წერილი, რომელიც ნინოს ყოფილი მოსწავლის მიხეილ ჩახავას საგმირო საქმეებზე გვესაუბრება. რაიონს ჩახავას ძეგლი აღუმართავს და ნინოს სთხოვენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის „საბრძოლო დიდების" ოთახისთვის გმირი მეომრის — ჩახავას საარქივო კუთხის გასამდიდრებლად მასალა მიაწოდოს. ნინოს ეს წერილი ცრემლით დაუნამავს და სასოებით ინახავს.

სულ რამდენიმე თვეა, რაც სკოლას თავი დაანება, იმიტომ კი არა, რომ გონებრივად და ფიზიკურად დაძაბუნდა — მან სკოლის შენობაში თავისავით ხანდაზმული ვეღარავინ დაინახა. დიდმა მოჭირნახულემ ნინო კასრაძემ დათმო ყოფილი ეპარქიალური სასწავლებლის შენობაში მოთავსებული 29-ე საშუალო სკოლა, თავისივე გამრჯე ხელით მორთული საკლასო ოთახი, სადაც ბავშვობა, სიყრმე და ხანდაზმულობა გაატარა.

**თამარ ღვინიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ასე იზრდებიან ჩვენი პატარები







ფოტო დ. იაკობაშვილისა.



სცენა სპექტაკლიდან: „კონკია".

# ლილი გაგთ- წლის ნინ

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის კოლექტივი მონაწილეობას იღებდა მსოფლიო საბავშვო და ახალგაზრდობის თეატრების ასოციაციის მიერ გამართულ ფესტივალში. ფესტივალი მიმდინარეობდა მოსკოვსა და ლენინგრადში 1-დან 10 მარტამდე. საბჭოთა კავშირის 8 საბავშვო თეატრმა სტუმრებს უჩვენა თავის მაღალიდეური, შთამბეჭდავი, ხალისიანი და ნიჭიერი ხელოვნება.

„ასიტეჟი" — მსოფლიო საბავშვო და ახალგაზრდობის თეატრების ასოციაცია — ჩამოყალიბდა 1964 წელს. საბჭოთა კავშირში მისი ეროვნული ცენტრი მომდევნო წელს შეიქმნა. საერთოდ, „ასიტეჟის" ეროვნული ცენტრი ამ ორგანიზაციაში შემავალ ყველა ქვეყანაში არსებობს. საბჭოთა ეროვნული ცენტრის პრეზიდენტია მოსკოვის ცენტრალური საბავშვო თეატრის დირექტორი, ცნობილი თეატრალური მოღვაწე კონსტანტინე იაზონის ძე შახ-აზიზოვი. ამავე დროს იგი არჩეულია „ასიტეჟის" ვიცე-პრეზიდენტად. საბჭოთა ეროვნულ ცენტრში გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის ყველა 42 საბავშვო თეატრი. ხოლო ხელმძღვანელობაში შევიდნენ საბავშვო დრამატურგიაში მომუშავე ცნობილი დრამატურგები და რეჟისორები თხუთმეტივე რესპუბლიკიდან.

ასოციაციას დაარსების დღიდან ჩატარებული აქვს სამი კონგრესი. რიგით მესამე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმდინარეობდა მოსკოვსა და ლენინგრადში. მოსკოვისა და ლენინგრადის მარტის ფესტივალიც ამ კონგრესთან იყო დაკავშირებული და მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის საუკეთესო საბავშვო თეატრების გაცნობას, მათი გამოცდილების გაზიარებას. ფესტივალს ესწრებოდნენ მსოფლიოს 65 ქვეყნის წარმომადგენლები. გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფორუმი იყო მარტის ფესტივალი, რომლის მონაწილენიც გახლდით ჩვენ — მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის კოლექტივი, ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო თეატრალური კოლექტივი საბჭოთა კავშირში.

ჩვენმა თეატრმა ფესტივალზე წაიღო ქეთევან ქუჩუკაშვილის ზღაპარი „კონკია". თეატრის არჩევანი ამ ზღაპარზე იმიტომ შეჩერდა, რომ მასში ნიჭიერად არის მოთხრობილი ავ დედინაცვალსა და მის სახიერსა და კეთილშობილ გერზე. სპექტაკლი დადგმულია ფერადოვნად, მსახიობები ჰქმნიან მხატვრულად სრულყოფილ სახეებს, მწერლის, რეჟისორისა და მხატვრის ნამუშევარი შთამბეჭდავია და გამომსახველი (სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი თენგიზ მაღალაშვილი, მხატვარი — მამია მალაზონია). სპექტაკლში ჩაბმულია თითქმის მთელი დასი. ეს სპექტაკლი უცხო მაყურებელსაც კი აძლევს საშუალებას გაეცნოს საქართველოს ყოფას, ეთნოგრაფიას, ქვეყნის თავისებურებებს.

სტუმრები, ფესტივალის მონაწილე უცხოელები, აღფრთოვანებული იყვნენ იმ ზრუნვით, რასაც ჩვენი მთავრობა იჩენს ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის.

„საბჭოთა ხალხს უყვარს ზღაპარი, — ჩემი ყოფნაც თქვენს ქვეყანაში ზღაპარი იყო", — განაცხადა დანიელმა სტუმარმა ინგა იუნმა.

„არც ერთმა სპექტაკლმა არ დამტოვა გულგრილი. ყველგან ენახე რაღაც, რამაც გამაოცა. გამაოცა დასის შერჩევისათვის ზრუნვამ. თქვენს სპექტაკლებში საკითხს „ვარსკვლავები" როდი სწყვეტენ, მთელი ანსამბლი ვარსკვლავია", — გვითხრა რომარი მუდუემ. საფრანგეთის ეროვნული ცენტრის გენერალურმა მდივანმა.

„კარგად ვიცი, რომ ბოლოსდაბოლოს მსახიობები ჰქმნიან თეატრს. ვაფასებ სპექტაკლის ანსამბლურობას და იმ ატმოსფეროს, რომელსაც მსახიობები ბავშვებისათვის ჰქმნიან სცენაზე", — თქვა ვლადიმერ ადამეკმა, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ცენტრის ვიცე-პრეზიდენტმა.

„საბჭოთა საბავშვო თეატრი სერიოზული, დიდი თეატრია. თქვენი საბავშვო თეატრი ისეთივე სერიოზული და დიდია, როგორც თეატრი უფროსებისათვის, — გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს ბულგარეთის ეროვნული ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი ვიქტორ გიორგიუ, — სამშობლოში დაბრუნებულს როცა შემეკითხებიან საბჭოთა კავშირის შთაბეჭდილებებზე, ვიტყვი — სტუმართმოყვარეობა, შემოქმედება, წარმოსახვა".

„თქვენი საბავშვო თეატრების ყოველი დასი არის ჩინებული და საკუთარი სტილის მქონე. თქვენი სპექტაკლების მხატვრობა შესანიშნავია, — აღფრთოვანებას ვერ მალავს დოქტორი ნატუ იუნგი, ამერიკის ეროვნული ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი. მას განსაკუთრებით მოეწონა ჩვენი „კონკიას" მხატვრობა, კოსტუმები, დეკორაცია. — შინ მიმაქვს დიდი შთაბეჭდილება ანსამბლსა და მსახიობთა მრავალმხრივობაზე. მთელი ჩემი ოჯახის სახელით (თან ახლდა მეუღლე და სამი ბიჭუნა) მინდა გითხრათ, რომ საბჭოთა ფესტივალი ძალიან, ძალიან, ძალიან მოგვეწონა".

„ჩვენი ქვეყანა თქვენი ქვეყნის ოდენა არ არის და შახ-აზიზოვმა, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ვიზიტით იყო ჩვენთან, კარგად ვაიგო, ჩვენი საბავშვო თეატრები საბჭოთა საბავშვო თეატრების სიმაღლეზე რომ არა დგანან.

თქვენი ქვეყნიდან მიმყვება შთაბეჭდილება, რომ თქვენს თეატრებს დასრულებული ფორმები გააჩნიათ და თქვენი მსახიობების ხელოვნება არის გარდასახვის ხელოვნება. ჩვენთვის უცხოა მსახიობი ქალების მიერ ბიჭთა როლების შესრულების ხელოვნება. სწორედ ამიტომ ძალიან გვაინტერესებს ის მეთოდები, რომლითაც ეწევით მსახიობთა წრთვნას. ჩვენი მიზანია მოვაწყოთ სპეციალური ვიზიტი ამ საქმის შესასწავლად", — გვეუბნება „ასიტეჟის" პრეზიდენტი, ინგლისელი ჯერალდ ტაილორი.

„თქვენს სპექტაკლებში ყოველთვის არის თამაშის სიხარული და დღესასწაულის განცდა", „საბჭოთა საბავშვო თეატრი ეყრდნობა დიდ სტილისტურ მრავალფეროვნებას და მდიდარ რეპერტუარს", „მოსაწონია თქვენი სპექტაკლების მაღალი, პროფესიული დონე. ჩანს, რომ ხელოვნების ნამდვილ ოსტატებთან გვაქვს საქმე", — ერთმანეთს ეცილებიან ორატორები, ისინი სიტყვებს არ იშურებენ საბჭოთა საბავშვო თეატრების შესამკობად.

აი, ასეთ შეკრებულებას ჩააბარა გამოცდა 5 მარტს მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა და, თუმცა სტუმრებს არ ესმოდათ ქართული ენა, „სპექტაკლი იმდენად თანადროულად არის დადგმული, რომ ყველაფერი კარგად გავიგეთ" — ამბობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საბავშვო თეატრის დირექტორი დრეისლერი. მისმა თანამემამულემ და კოლეგამ, ლაიფციგის საბავშვო თეატრის დირექტორმა ჩვენს მთავარ რეჟისორს — თენგიზ მაღალაშვილს მადლობის ნიშნად ჩიბუხიანი თოჯინა აჩუქა და უთხრა: ეს პირველი ცდუნებაა, რამაც გადამაწყვეტინა ჩემი სამშობლოდან ჩამოტანილი ამულეტი თქვენთვის მეჩუქებინა.

„ასიტეჟის" პრეზიდენტი, ზემოთ ნახსენები ჯერალდ ტაილორი, „კონკიას" ნახვის შემდეგ იხსენებს რამდენიმე წლის წინათ ინგლისში საგასტროლოდ ჩასულ პოლონურ თეატრს, რომელსაც თავის ერთ-ერთ სპექტაკლში გამოყენებული ჰქონია ჭიაკოკონა. ქართული სპექტაკლის პერსონაჟმა „ცეცხლმა" სწორედ ის ჭიაკოკონა გამახსენა და ამიტომ ვფიქრობ, რომ „კონკიას" დადგმას აქვს ის ღრმა გლეხურობის ელემენტები, რომელიც უხვად შემიმჩნევია აღმოსავლეთ ევროპის საბავშო დრამატურგიაში. „ეს განსაკუთრებით პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დრამატურგიას ეხება, — თქვა მან და დაუმატა: — სპექტაკლის დადგმა, მისი გადაწყვეტა და საერთოდ კონკიას ამბავი საინტერესო გამოდგა და სასიამოვნო საცქერალი იყო. ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნებოდა, რომ სპექტაკლი ინგლისელ მაყურებელს ენახა".

რუმინელმა რეჟისორმა იონ კოჟარმა ქართული თეატრის სპექტაკლი პირველად ნახა. „არც ერთი სიტყვა არ მესმოდა, ამბობდა იგი, მაგრამ როცა პირველი მოქმედების განმავლობაში საკმაოდ შევეჩვიე თქვენი დასის მეტყველ თამაშს, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ჩემთვის გასაგები იყო ყოველი სიტყვა. ჩემი აზრით ფოლკლორზე დაფუძნებული პიესები ყველაზე მეტს მოითხოვს დამდგმელი რეჟისორისა და დასისაგან. ვფიქრობ, ამ სპექტაკლში ყველა პრობლემა გადაწყვეტილი იყო.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის სპექტაკლი საინტერესო იყო და ბევრი რამ შემძინა".

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ჩვენს სპექტაკლზე საზღვარგარეთელი პატარა მაყურებლების. დოქტორ ნატუ იუნგის ბიჭუნების აზრი, რომლებიც სიამოვნებით გაგვესაუბრნენ.

უფროსისათვის სპექტაკლი „ძალიან საინტერესო იყო. ყველაზე კარგი ის ადგილებია, როცა ჯერ ცრუპენტელები მოატყუებენ უფლისწულს, შემდეგ კი ის მთლიანად განთავისუფლდება მათი გავლენისაგან და საკუთარი გამოცდილებით მიხვდება, რა ცუდია ტყუილით ცხოვრება". ხოლო უმცროს ბიჭუნას ის ადგილი მოეწონა, „როცა კონკიამ ასე კარგად გადაუხადა ცრუპენტელებს იმ ოინებისათვის, რაც მათ უწინ დამართეს და ცრუპენტელებმაც ის მიიღეს. რაც დაიმსახურეს".

მოსკოვისა და ლენინგრადის ფესტივალის მონაწილეებმა ბევრი საინტერესო სპექტაკლი ვიხილეთ და დაუვიწყარი შეხვედრების მოწმენი გავხდით.

სტუმრებმა კი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქიდან წაიღეს დიდი სიხარული და კეთილი მოგონებები, გამოწვეული საბჭოთა საბავშვო თეატრების ნიჭიერი, შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი ხელოვნებით.

**მაყვალა ცხომარია,**
მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე



ამერიკის ეროვნული ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი ნატუ იუნგი, „ასიტეჟის" პრეზიდენტი ჯერალდ ტაილორი, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის რეჟისორი თენგიზ მაღალაშვილი (მარჯვნივ).



# „ვაზო შვილივით ნაზარდო“

ზამთარი იყო მაშინ. ძველებსაც არ ახსოვდათ კახეთში ასეთი დიდი თოვლი. ბუხარში წიფლის კუნძი გუზგუზებდა და ციცინათელებივით ისროდა ნაპერწკლებს.

მიხეილთან ერთად ცივი ქარი შემოიჭრა კარებიდან, ბუხრიდან ნაცარი წამოხვეტა და ოთახში დაატრიალა. მიხეილმა ნაბადი ტახტზე მიაგდო, მერე განჯინიდან არაყი გამოიღო, ყანწი აავსო, გადაკრა და ბუხართან ჩამოჯდა თავჩაკიდული.

— რა მოხდა, მიხეილ, კაცს აღარ გავხარ! — მორიდებით შეეკითხა ცოლი.

— მეზობელ სოფელში არტელის თავმჯდომარე მოუკლავთ...

მუხლებთან სათუთი შეხება იგრძნო. შეშინებული შეჰყურებდა მამას პატარა ანეტა.

...თითქმის თეთრად გაათენა ის ღამე ცოლ-ქმარმა.

პირველივე ცდა — კოლმეურნეობაში გაერთიანებულიყვნენ ღარიბი გლეხები და ერთიანი ძალებით შებრძოლებოდნენ გაჭირვებას, მარცხით დამთავრდა. მაგრამ ამან ვერ შეარყია მიხეილის რწმენა. მტრის მუხანათობა ხავსზე მოკიდებულის იმედს გავდა, რამაც უფრო დაარწმუნა იგი ერთობის აუცილებელ გამარჯვებაში.

მაშინ შვიდიოდე წლის იყო ანეტა გონაშვილი, მაგრამ ის თოვლიანი, გრძელი ღამე ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში.

• • •

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. მხრებში გაიშალა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, ვილა ფიქრობდა მცირე არტელებზე — ხალხი მასობრივად ერთიანდებოდა კოლმეურნეობებში.

აბობოქრდნენ არბოშიკელებიც.

— მიხეილ, ჰეი, მიხეილ! — მოისმა ერთ დილით ძახილი ჭიშკრიდან.

— რაჟდენ ხუციშვილი მეძახის, — უთხრა მდუმარედ მიჩერებულ მარიამს. — გააღე ბოსლის კარები, გამორეკე საქონელი.

მარიამი მდუმარედვე გაემართა ბოსლისკენ.

— ბავშვები დააპურე, მე ნუ მომიცდი, შემაგვიანდება, — დაუბარა მეუღლეს მიხეილმა და ბოსლიდან გამოყვანილი ძროხა და კამეჩი წინ გაიგდო.

...იმ დღეს მხოლოდ 14 კაცი გაერთიანდა საერთო მეურნეობაში.

მაგრამ გადიოდა დღეები და კაცი კაცს ემატებოდა. ერთ დღეს კი გაოცებისაგან კინაღამ გაქვავდა მიხეილი: მარიამი და ანეტა უთენია მიადგნენ კოლმეურნეობის კანტორას თოხებით ხელში. მათ მეზობლის ქალებიც გამოყოლოდნენ, და გაოცება სიამაყედ შეეცვალა, როცა რაჟდენმა მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— კაცი შენ ყოფილხარ, ჩემო მიხეილ! ყველამ რომ შენსავით გამოიყვანოს ოჯახი, პური კი არა, ღვინო და ხორაგიც თავსაყრელად გვექნება. ლეკვი ლომისა სწორიაო, ხომ გაგიგია! ბევრ მამაკაცს ტოლს არ დაუდებენ ამისთანა დედაკაცები!

მიხეილს არაფერი უთქვამს, მაინც არ დაუჯერებდნენ, რომ ეთქვა: ცოლი და ქალიშვილი ჩემი რჩევის გარეშე შემოვიდნენ კოლმეურნეობაშიო, ღიმილით ანიშნა მარიამს, რომ კმაყოფილი იყო მისი მოულოდნელი გადაწყვეტილებით; თითქოს სხვას არაფერს მოელოდაო, ქალს წარბი არ შეუხრია. ასე მოითხოვა ცხოვრებამ და სხვანაირად ვერც მოიქცეოდა.

• • •

ანეტას იმ დროს მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდა მიღებული. რა ექნა ქალიშვილს, თუ ცხოვრება მეტის საშუალებას არ იძლეოდა. უჭირდა ქვეყანას, უჭირდა მრავალრიცხოვან ოჯახს და ანეტასაც უნდა შეეწყვიტა სწავლა. სამაგიეროდ კოლმეურნეობა მისი ტოლებით აივსო — ახალგაზრდობა წინ იყურებოდა, ახალგაზრდობა მომავლით ცხოვრობდა, ახალი სოფლის მშენებლობას იწყებდა. ამიტომ ხარობდა და აკი მამამაც ღიმილით გაამხნევა ქალიშვილი, ზოგიერთივით სახალხოდ არ გაკიცხა და არ შეარცხვინა: რა გასათხოვარი გოგოს საქმეა კოლექტივიო.

იმ დღეს პირველად დაჰკრა თოხი კოლმეურნეობის ვენახს, არავინ ეუბნებოდა: თქვენი ზღვარი აქ გადის, ჩვენი აქაო... მისი იყო „თავისიც“ და „სხვისიც“. ყველა წაქცეული ვაზი ერთნაირად ტკენდა გულს — აყენებდა, ჭიგოს უმარჯვებდა, შესციცინებდა. და ერთი სული ჰქონდა, სანამ დაინახავდა ვაზის ტირილს, ახლადაფეთქებულ კვირტებს და ქორფა ფოთლის ჩანასახს, გრძნობდა, რომ იგი, უბრალო არბოშიკელი ქალიშვილი, სახალხო საქმეს ემსახურებოდა, სახალხო დოვლათს ქმნიდა.

სოფელმა დააფასა მუყაითი ქალიშვილის შრომა.

• • •

ერთ დღეს ანეტა კანტორაში გამოიძახეს.

— ეს არის ჩვენი ანეტა, — წარუდგინა თავმჯდომარემ გაზეთის კორესპონდენტს.

— აი, თქვენ წელს მერგოლურად დაუნიშნიხართ. სასიამოვნოა, რომ არბოშიკელ კოლმეურნეებს ასეთი მოწინავე მევენახე ჰყავთ და თანაც ქალი. რითი ახსნიდით თქვენს წარმატებებს? — ჰკითხა სტუმარმა ანეტას.

მან არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ აეხსნა, რომ კარგი მოსავლის მიღება საქმის სიყვარულთან არის დაკავშირებული? ნუთუ არ გაუგონია დალოცვილს: „ვაზო, შვილივით ნაზარდოო“. ჰოდა, შვილივით მიხედვა უნდა და ვაზი მოსავალსაც კარგს მოგვცემს.

— ჯერ ვენახს ხეირიანად დავბარავთ, მერე დროულად გავსხლავთ, შევყელავთ და გავთოხნით. გაზაფხულზე ვაზი რქას — ახალ ყლორტს ამოიყრის ფოთოლსა და ყლორტს შორის. მას შეტეხვა უნდა. მერე თვალი რომ შეუვა მტევანს, ყურძენი რომ აიმღვრევა, მუშაობას ვაჩერებთ.

საუბარში თავმჯდომარე ჩაერია:

— შენ ის უთხარი, რას აკეთებ, რომ სხვებზე უხვი მოსავალი მოიყვანო, თორემ ვაზის მოვლის პროცესი უშენოდაც იცის.

— აბა, რა ვიცი, როგორ გითხრათ, შვილივით უნდა მოუარო და კარგ მოსავალსაც მიიღებ. — უხერხულობაში ჩავარდნილმა ქალმა დაბნეულად მიმოიხედა და კარებს მიაშურა.

• • •

ვაზი ყოველთვის საყვარელია, მაშინაც კი, როცა თოვლის ფანტელებით დატვირთული და სიცივისაგან წელში მოხრილი დგას და გაზაფხულს ნატრობს... მაგრამ ამღვრეული მტევნებით დახუნძლული ვენახის ნახვას მა-

ინც არაფერი სჯობია! უხარია ვაზს და უხარია გულს!

ანეტას ყველაზე უფრო ცის გადახსნის დროს უყვარდა ვაზი: ყურძენი დამსხვილებული და შეთქვირულია, გუნდებად დაბზუიან გარშემო ფუტკრის მთელი ოჯახები და სურნელებისაგან იბნიდებიან. ამ დროს თავების გადაჭრა უნდა ვაზს ერთ ზომაზე, რათა უკეთ მიეფიცხოს სანატრელ მზეს, უფრო მეტი სიტკბო ჩაუდგას მტევანს. გაივლის რაღაც ორიოდე კვირა და ყურძენიც მოსაკრეფია.

ასე მეორდებოდა წლიდან წლამდე. ანეტას გამოცდილება ემატებოდა. ხვავითა და ბარაქით ივსებოდა მისი ოჯახი. მერე საკუთარი ოჯახიც შექმნა. ახლადდაქორწინებულებს ქალიშვილი და ვაჟი შეეძინათ. მაგრამ ერთ დღეს ოჯახური მყუდროება მოულოდნელად დაარღვია ომმა. ანეტას მეუღლე იროდი სეხნიაშვილი სამშობლოს დასაცავად წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ანეტა მეუღლის დაკარგვით დადარდიანებულ გულს შრომით იქარვებდა. ყოველ წელს სულ უფრო მაღალ მოსავალს იძლეოდა ვენახი. ორ ობოლს, თამრიკოსა და გოგის კი ბებია მზენო უვლიდა. ანეტა გვიან ღამემდე არ ბრუნდებოდა ვენახიდან; ორი მუყაითი მუშის საქმეს აკეთებდა და ერთ მათგანს მეუღლის სახელს არქმევდა გულში.

მარტო არ იყო ამ დროს ანეტა. მის გვერდით შრომობდნენ გამრჯე მეგობარი ქალები: ელიკო გუგენიშვილი და მარგო ჯამალაშვილი. ჰექტარზე თითოეულმა 135 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. და აი, 1948 წელს სამივე ქალი ბრიგადირთან ერთად დედაქალაქში გამოიძახეს. განა დაავიწყდებათ ოდესმე ეს დღე?

ლენინის ორდენით დააჯილდოეს მაშინ სამივე ქალი და მათთან ერთად ბრიგადირი გაბო კოტაშვილიც. ბავშვივით იღიმებოდა ეს 70 წლის დევკაცი და ქალებზე უთითებდა:

— ესენი რომ არა, მე რას გავხდებოდი, ე ბერიკაცი...

გავიდა ერთი წელი და ოთხივემ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა. ეს იყო მათი შრომის ღირსეული ჯილდო.

სოფლის თვალისჩინს ეძახიან არბოშიკში ანეტა სეხნიაშვილს.

მასთან რჩევა-დარიგების მისაღებად მოდიან ახალგაზრდა და ხნიერი კოლმეურნეები. ანეტას ყველასთვის მოეპოვება სათქმელი, არც ერთ კითხვას არ ტოვებს უპასუხოდ; ხელს გაუმართავს თანასოფლელს, დაეხმარება, გზას უჩვენებს. ამიტომაც არა ერთხელ აურჩევიათ თანასოფლელებს სასოფლო თუ რაიონული საბჭოების დეპუტატად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

...ზაფხულია. ანეტა სეხნიაშვილი ზვრებშია, შვილივით ნაზარდ ვაზებთან.

**ჯემალ მჭედლიშვილი**

ოჯახური წყობილების ტრადიციული ეთიკური საფუძვლები მთლიანად და სავსებით ცოლქმრული ერთგულების პრინციპებს ემყარება. ცოლქმრული სოლიდარობის სტაბილურობა ბევრადაა შეპირობებული მეუღლეთა შორის სპეტაკი, ურყევი ერთგულების არსებობით, რის იდეალსაც, კერძოდ, თავისი გამოხატულება უპოვია ხალხურ ლექსში: „ცივ წყარო გადავიარე":

**ცივ წყარო გადავიარე,**
**ქალი მჯდარიყო წყალზედა,**
**თავი მოვსთხოვე, არ მომცა,**
**შორს გადასწერა ქვაზედა,**
**კარგას ვყევივარ ვაჟასა,**
**აჩაროს მიდგას ცხვარზედა,**
**მე იმას არ ვუღალატებ,**
**შავი არ დავჯდა ძმაზედა.**

ლექსი „ერთგული ცოლი" მსგავს კომპოზიციურ ხერხს — დიალოგს შეიცავს, · ამავე დროს, სიტუაციაც და ფინალიც ზემოთმოხსენებული ლექსის ანალოგიურია:

**—ადი, ქალო, მაღლა ხესა,**
**ჩამოყარე ბროწეული,**
**ჩამოდი და გვერდთ მომიჯექ,**
**ქამხა მოგცე დაწერილი.**
**— არცა მინდა შენი ქამხა,**
**არცა შენი დაწერილი,**
**ისევ ქმარი მირჩევნია,**
**გეირგვინშია ჩაწერილი.**

ქმრის ერთგულება ქართველი ქალის ტრადიციულ თვისებას შეადგენდა, მაგრამ ეს ერთგულება რაიმე შიშის ინსტიქტზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ იგი წარმოადგენდა ოჯახის ერთ-ერთი აქტიური წევრის — ქალი-მეუღლის მორალური კოდექსის კომპონენტს. ხალხმა ნათელი ფერების სპექტრში მოგვცა ერთგული ცოლის კლასიკური პორტრეტი, რომელიც დიდების შარავანდედითაა გასხივოსნებული. „ცოლქმრული ერთგულება იმდენად ძირითადი და მნიშვნელოვანია ოჯახის სიმტკიცისათვის, რომ ჩვეულებრივ მას აიგივებენ პატიოსნების ცნებასთან; როცა ამბობენ: ეს ქალი ან კაცი პატიოსანიაო, გულისხმობენ პატიოსნებას ცოლქმრული ურთიერთობის სფეროში", — წერს გ. ბანძელაძე (ეთიკა, 1966, გვ. 481).

ხალხური პოეზიის ზოგიერთ ძეგლში, ქმრისადმი ქართველი ქალის ერთგულება ზენიტს აღწევს; ერთ-ერთ პოეტურ ფორმულაში გადმოცემულ თეზისს:

**„მე და შენსა სიყვარულსა**
**რა გაჰყრის სიკვდილის მეტი",**

უპირისპირდება პ. უმიკაშვილის მიერ ხალხური სიტყვიერების კრებულში შეტანილი ამავე თემაზე აგებული ლექსის იდეა — ცოლს სიკვდილის დროსაც კი არ უნდა ქმარს გაეყაროს, იგი მზადაა მასთან ერთად გამოესალმოს სიცოცხლეს:

**ნუ მოკვდები ჩემო ქმარო,**
**თორემ არ დავირჩენ თავსა,**
**ხესა გავალ ქონდრისასა,**
**მასზე ჩამოვიხრჩობ თავსა,**
**ნაგუბარში ჩავვარდები,**
**ნაქლის კარსა ხარისასა.**

ქმრისადმი ქალის ერთგულების არეალი მარტოოდენ ოჯახური ურთიერთობის ფარგლებში კი არ ვრცელდება, იგი ბრძოლის ასპარეზსაც მოიცავს; აქ ჩანს, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიული წარსულის სპეციფიკა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი ქალის ვაჟკაცური სულისკვეთება, რომელიც თვით ამ ისტორიული წარსულის სპეციფიკით იყო განპირობებული.

საგმირო ჟანრის ბალადური ტიპის ნაწარმოებში — „წოვეთში გიგის ციხეო", ნაჩვენებია საკუთარი სახლ-კარის დაცვაში ცოლის აქტიური მონაწილეობის გმირული სცენა.

ხალხური ავტორის მიერ აქ პლასტიკურადაა დახატული საბრძოლო ეპიზოდი, ვირტუოზულადაა აღწერილი ბალადის კულმინაციური წერტილი:

გიგი ცოლს ეუბნებოდა:
— წამალი მიწყე წამზედა,
რომ შემოგვაკლდეს ტყვიაი,
ღილი აიჭერ ტანზედა.

ბალადის მიხედვით, გიგის ცოლი არა მარტო ერთგული მეუღლეა, არამედ მომხდურთა მოგერიების მომენტში ქმრის თავგანწირული თანამებრძოლიც. გიგის ჰკლავენ, ხოლო მის მოკვეთილ მარჯვენას მისივე ციხის თავზე აკრავენ. ლექსს თვითონ გიგის ცოლი ამთავრებს ასეთი ემოციური, ტრაგიკული სტრიქონებით:

ე მაგ ლექსაის მომთქომსა
ქალს ცრემლი მომდის თვალზედა,
გიგის ხელების ნაწვეთი
მაღლით ჩამომდის თავზედა.

ერთგული ცოლის კოლორიტული, რელიეფური სახე გამოქანდაკებული აგრეთვე ხალხურ ბალადაში — „გიგაის ცოლი“, სადაც ოჯახისა და ქმრის ერთგულების მძაფრმა გრძნობამ მწყემსის ცოლი გმირ ქალად აქცია, ამ გრძნობამ მას ხელში იარაღი აიღებინა და ქმრის მკვლელ და ცხვრის ფარის გამტაცებელ ავაზაკებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩააბა. ეს ბრძოლა ქალის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. ქალმა ქმრის მოკვლისათვის შური იძია და ხმლით დაამტკიცა ქმრის ერთგულება. ამავე დროს, ცხვრის ფარაც გამოიხსნა. უკან დაბრუნებისას, გზად, ცოლი მოკლული ქმრის გვამს წააწყდება. ხალხური სიტყვის დიდოსტატის მიერ დრამატულადაა დახატული ეს მრავლისმეტყველი ეპიზოდი, სადაც ქმრისადმი ცოლის ერთგულების ამსახველი დეტალები ერთ სიბრტყეზე ლაგდებიან და ექსპრესიულობის აპოგეას აღწევენ:

მაშინ იფიქრა დიაცმა:
„აქ ჩემი ქმარი არია“,
მივიდა და დაეკონა,
წელს შემოარტყა ხმალია,
„ნუ დაიდარდებ, გიგაი,
ჩვენ ცხვარ ჩვენ ხელთვე არია,
ისე ავკაფე მომხდურნი,
როგორც ბოლოკა მხალია“.

ქართველი ქალის ქმრისა და ოჯახისადმი ერთგულების საილუსტრაციო ფაქტებს უხვად გვაწვდიან როგორც ქართული საისტორიო წყაროები თუ სხვა ხასიათის წერილობითი დოკუმენტები, ასევე კაზმულსიტყვიერი მწერლობის ცალკეული ძეგლები. ერთგული ცოლის მხატვრული სახე საკმაო სისრულითაა გამოკვეთილი მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური პოეზიის მდიდარ სამყაროში, რომლის ცალკეული ნიმუშები აქ განვიხილეთ. მათში ფართოდ და საფუძვლიანადაა გადმოშლილი ქართველი ხალხის კონცეფცია ცოლქმრულ ერთგულებაზე, როგორც საოჯახო ზნეობრივი ფუნქციის პროგრესულ ელემენტზე.

**გიორგი შეთეკაური**

# დადგა ზაფხული

არაფერი არ ამდიდრებს ადამიანს ისე, როგორც ადამიანებთან ურთიერთობა და არაფერი არ ამტკიცებს ამ ურთიერთობას ისე, როგორც ერთად გატარებული დღეები, დასვენებასა თუ მოგზაურობაში.

რამდენი კარგი მეგობარი შეგვიძენია დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, ტურისტული მოგზაურობის დროს! და, ამავე დროს არიან ადამიანები ჩვენს გვერდით, ჩვენს კოლექტივში, რომელთა ცხოვრება დაწესებულების კედლებს მიღმა, ჩვენთვის უცხოა.

დადგა ზაფხული — პირველი ზაფხული მასობრივი, ყოველკვირეული ორდღიანი დასვენებებით. იმისათვის, რომ ეს დღეები იქცეს მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების, სულიერი გამდიდრებისა და სიამოვნების წყაროდ, საჭიროა ფართოდ დაიგეგმოს საექსკურსიო მარშრუტები.

ასეთი ექსკურსიები ხელს შეუწყობს არა მარტო ამათუიმ კოლექტივის წევრთა და მათი ოჯახების დაახლოებას, არამედ შეუძლია დიდი როლი შეასრულოს თვით ოჯახის განმტკიცებისა და ბავშვთა აღზრდის საქმეშიც.

იმის მაგივრად, რომ დასვენების დღეებს დიდები სუფრასთან ვატარებდეთ, ან სამზარეულოსა და ოჯახურ ფუსფუსში, ხოლო ბავშვები — ეზოებსა და ქუჩებში, კვირაში ორ დღეს მოცილებულნი ჩვეულ გარემოს, ქალაქის მტვერსა და ხმაურს, დავისვენებთ ბუნების წიაღში, გავეცნობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, ისტორიულად ცნობილ ადგილებს, კულტურის ძეგლებს, ვეწვევით ჩვენი ქვეყნის ცნობილ მოღვაწეთა სახლ-მუზეუმებს, არქეოლოგიური გათხრების ადგილებს და სხვა და სხვა...

ბავშვებს გაუჩნდებათ მშობლებთან საერთო, ახალი ინტერესები: მოგზაურობა, ფოტოგადაღებები, ბანაობა, თევზაობა, კოლექციების შეგროვება, ხოლო შინ დაბრუნების შემდეგ — ზრუნვა ახალი მარშრუტისათვის.

რომ ეს ექსკურსიები არ გადაიქცეს ჭამა-სმის „ღონისძიებებად“, ყოველი მარშრუტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი ექსკურსიამძღოლით, ადგილზე კულტმუშაკით, რომელიც უზრუნველყოფდა შინაარსიან და საინტერესო დასვენებას, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მიზიდვით.

მწერალთა სახლ-მუზეუმებში ჩატარდება მხატვრული კითხვის საღამოები, რომლებშიც შეიძლება ექსკურსიებში მონაწილე ბავშვთა მიზიდვა და დაჯილდოებაც კი კარგი კითხვისათვის, რაც ბავშვებს სტიმულს მისცემდა, უკეთ ემზადონ შემდეგი დასვენების დღისათვის.

მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია დიდი და სერიოზული საქმეა. ადგილები, საითაც ადამიანებს დასასვენებლად მიუხარიათ, უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადოდ მოწყობილი საექსკურსიო ბაზა-სასტუმროთი, კვებით, საექიმო და კულტურული მომსახურებით.

ყველაფერი ეს მოითხოვს არა მარტო კულტურის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა, არამედ ჩვენს საერთო ზრუნვასაც.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყოველკვირეული ორდღიანი დასვენებები იქცეს მართლაც და ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სულიერი გამდიდრების წყაროდ.



## ნორჩი შემოქმედნი

# გოგონა „გაზაფხულიდან"

ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ, ქალაქ ბათუმში. სცენაზე გამოვიდა ბათუმის პიონერთა პარკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გაზაფხული". ერთმანეთს ცვლის ნარნარი „ქართული" და ტემპერამენტიანი „განდაგანა". იღვრება ბავშვთა ხალისიანი სიმღერები. მაყურებელი აღტაცებით უკრავს ტაშს ნორჩთა შემოქმედებას. ტაში პირველი არ არის ანსამბლ „გაზაფხულისათვის", მაგრამ დღეს განსაკუთრებით ღელავს ანსამბლის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ენვერ ხაბაძე. ღელავს, რადგან დღეს მაყურებლისთვის მოულოდნელი საჩუქარი აქვს გამიზნული; და, მართლაც, მაყურებელი მოულოდნელობისაგან იბნევა: სცენაზე გამოდის პატარა, ბაბთიანი გოგონა. შეიძლება მას გზა აებნა და შემთხვევით მოხვდა სცენაზე? მაგრამ არა. გოგონა გაბედულად მიდის ფორტეპიანოსთან და უკრავს... საკუთარ ნაწარმოებს. უკრავს გატაცებით, და, რა გასაკვირია, როდესაც იმ დღეს ყველაზე მეტი ტაში მან დაიმსახურა.

ასე დაიწყო ხუთი წლის დალი ებრალიძის „შემოქმედებითი გზა". ამ გზამ „გაზაფხულთან" ერთად წაიყვანა იგი მოსკოვსა და რიგაში, პატარა შემოქმედს იქაც წარმატება ხვდა წილად. ოღონდ ტაშთან ერთად საჩუქრებსაც უძღვნიდნენ. ეს იყო უმეტესად თოჯინები. დალის სპეციალისტებმა მოუსმინეს და კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს. პროფესორმა ანასტასია ვირსალაძემ კი თავის შვილიშვილს, ცნობილ პიანისტს ელისო ვირსალაძეს ამ სიტყვებით ჩააბარა გოგონა: ვინძლო შენც იმდენი ამაგი დასდო მის აღზრდას, რამდენიც მე შენთვის გავაკეთეო. ელისომ პატარა მუსიკოსს თოჯინა აჩუქა. მაგრამ დალის კრილოვის „კვარტეტის" ფიგურული კომპოზიციისაკენ გაექცა თვალი. მერე ეს ფიგურები საკრავის თავზე ჩამოამწკრივა, რათა მუდამ ხსომებოდა, თუ როგორ იტანჯებოდა უნიჭოთა ხელში მშვენიერება — მუსიკა.

დალი ახლა ათი წლისაა. სწავლობს თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მესამე კლასში. იმ პატარა ბინიდან, სადაც დალის ოჯახი ცხოვრობს, ხშირად გამოდის სიმღერის ხმა. ეს დალი და მისი უფროსი და — 16 წლის მანანაა. მანანა მღერის, დალი კი ფორტეპიანოს უკრავს. ანდა ორივე ერთად მღერის, ხმაშეწყობილად, ტკბილად. ეს ნიჭიერი ბავშვები მეორედ გამოვიდნენ საქართველოს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. დებს სათუთად აქვთ შენახული ამ ოლიმპიადებზე მიღებული სიგელები. თავისუფალ დროს ისინი ხატავენ, მაგრამ თავი და თავი მუსიკაა. აქ შეძლო პატარა გოგონამ თავისი ფანტაზიისათვის ფრთები შეესხა. მის ნაწარმოებებს რამდენჯერმე მოვუსმინეთ ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით. კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა ერთ-ერთ ასეთ გადაცემას პატარა შესავალი გაუკეთა და აღნიშნა ამ ნაწარმოებთა ნიჭიერება. დალი ბავშვია და მისი შემოქმედებაც თემატურად საბავშვოა. „სიმღერა ნაძვისხეზე", „დილა სოფელში", „შვლის ნუკრის ნაამბობი" ...ასე დაასათაურა მან ეს მუსიკალური ჩანახატები. მაგრამ ყველაზე მეტად დალის უყვარს თავისი „ფანტაზია ვეფხისტყაოსნის თემაზე". იგი უკრავს და თვალწინ უდგას ქაჯები, მათი დამსხვრეული ფარები, გამარჯვებული, მოზეიმე მეგობრები და განთავისუფლებული მზეთუნახავი — ნესტანი... და ისევ და ისევ უბრუნდება გოგონა საყვარელ ფანტაზიას.

## დე, ბილიკობდეს...

ერთ ბალახიან ძველ ნაბილიკარს
მინდვრის ყვავილთა გვირგვინი გასდევს.
შემდეგ ვიღაცის ჭიშკართან მიდის,
ჭიშკარს კი ცივი ბოქლომი ადევს.

თითქოს ბოქლომი არაფერს ამბობს,
და არც ბილიკი, ბალახით სავსე,
მაგრამ სიცოცხლე რომ იყოს სახლში,
განა იქნება ბილიკი ასე?

განა იქნება ბილიკი ასე,
ადამიანმა ზედ რომ იაროს?
დე, ბილიკობდეს ყველა ბილიკი,
დე, ბალახებით არ დაიფაროს!

მზია შეწირული

ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

## მეგობრები

მანანა და გივი მეგობრები არიან. მანანა 12 წლისაა, გივი 10-ის. მანანას მამა არა ჰყავს. იგი ხუთოსანია. როდესაც სკოლიდან მოდის, გაკვეთილებს სწავლობს, დედას ეხმარება. თავისუფალ საათებს წიგნის კითხვას ანდომებს. გივი ცელქი ბიჭია, დედას არ უგონებს და მთელი დღე ბურთს თამაშობს.

— თუ ცუდად ისწავლი და დედას არ გაუგონებ, შენთან აღარ ვიამხანაგებ, — უთხრა მანანამ. გივი დაღონდა.

— რატომ დაღონდი? წადი, მოიტანე სასწავლო წიგნები, გაკვეთილების მომზადებაში დაგეხმარები. — გივიმ თავისი წიგნები მოიტანა. მანანა მიეხმარა, საშინაო დავალება გამოაყვანინა.

შერიგებული მეგობრები კინოში წავიდნენ.

კინო ომზე იყო და მანანას თვალები ცრემლებით აევსო.

— ჩვენ არ გვინდა ომი! — მორთო ტირილი გიამაც.

ბადრი პატარიძე,

კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს II კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ქალაქის ავ-კარგზე

# თბილისურია?

ბერძენმა მომღერალმა ქალმა მკლავები გაშალა და აღტაცებულ ქართველ მსმენელს უმღერა საყვარელი „სიმღერა თბილისზე“. ათასჯერ განაგონი, ათასჯერ ნამღერი და მაინც ასე წარმტაცი, გულის წამლები. თითქოს უცხოელი ქალის ბაგეთგან განსაკუთრებულად ღაღადებდა თბილისის ცისა და მიწის სილამაზე, ელვარებდა მთაწმინდის მთვარე, ნამს აფრქვევდა სამაისო ვარდნარი... „თითქოს“-მეთქი, თორემ თბილისელზე უფრო მეტად ვინ შეიტკბობს და იამაყებს თბილისით? იგი გულია ჩვენი ცხოვრების; ქართველი კაცის გზები ყოველთვის ამ გულში იყრის თავს. გულს ტკივა წარსულის ნაიარები, გულს უხარია აწმყოს სისხლსავსება, გული ფეთქავს საოცნებო მომავლის იმედით. „თბილისელი ვარ“ — ვამბობთ და თითქოს უფრო ემატება ძალა ჩვენს ხმას. „თბილისურია“ — ვამბობთ და სიამაყით ვუწვდით ჩვენს სუვენირებს კეთილად მოსულ სტუმარსა თუ კეთილი გულით დამხვდურს. დიახ, საგარეოდ და საუცხოოდ ბევრი რამ გვაქვს შემონახული, თავს გადავაკლავთ და მაინც ვიშოვით, მაინც მოვძებნით, გაუჩენელს გავაჩენთ. თუმცა გაუჩენელის გაჩენა არც გვჭირდება: კონიაკის ეთიკეტებზე გაბრწყინებული ვარსკვლავები თვალს ჭრიან კაცს, წარსულის მტვერში მიგნებული და კვლავ ახლადაღორძინებული კერამიკა ზარივით რეკავს, თითქოს პაპის გათლილი ჩონგური ყელს იღერებს, თმაქოჩორა, მწყემსი ბიჭის სალამური ტუჩს გიწვდის — მამღერეო. და კიდევ რამდენი ჩამოვთვალოთ, რასაც ღირსეულად ჰქვია ჩვენებური, ქართული, თბილისური... მაგრამ კიდევ რამდენი უღირსად ატარებს ამ სახელს: იწვის, სირცხვილით იწვის, უკან ჩამოდგომა უნდა, უნდა შეუმჩნეველი გახდეს, სხვას ამოეფაროს, მაგრამ ვაი, რომ უკან არავინ აყენებს, წინ არიან გამოტანილნი და გამოფენილნი. არიან და არიან. მოდიან, დახედავენ. ზოგი ხელშიც შეატრიალებს. იარლიყს გაუსინჯავს და ტუჩაბზუებული გაბრუნდება. ანდა, კი არ გაბრუნდება, იქვე, მის თვალწინ სხვა სახელს იტყვის, სხვა ქალაქისას თუ ქვეყნისას დაასახელებს, მოითხოვს და რაღა დასამალია: უარი თუ უთხრეს, კვლავ დაჟინებით მოითხოვს, შეეხვეწება, შეევაჭრება — დახლის ქვეშ ხომ არა გაქვთო? — ჩუმად დაატანს. თუ არც დახლისქვეშ აღმოჩნდა, მაშინ სხვა გზას მონახავს, სხვებისგან დაქნილ ბილიკს გაჰყვება და ტყავს გაიძრობს, ჯიბეებს დაიცარიელებს და ქორვაჭარს ამოუვსებს. მიდი და გაამტყუნე, უკიჟინე. „შენი საქმე არ არისო — შემოგიღრენს — ისეთი მინდა, რომ გამძლეც იყოს და ლამაზიცო“. „თბილისის სიყვარულში ვერავინ მაჯობებსო — იმასაც დაატანს. — თბილისური ცაც მიყვარს და მიწაცო, ვარდიც და მთაწმინდაცო, მაგრამ...“ ჩვენი ვაიც ეს „მაგრამაა“. ეს „მაგრამ“ ზოგჯერ დაგხვდებათ მზატანსაცმლის მაღაზიებში, ფეხსაცმელების მაღაზიებში, სათამაშოების მაღაზიებში და კიდევ ბევრ ადგილას...

შაბათი დღეა. თქვენ ალბათ გცალიათ. მოდით, დავიწყოთ, ერთი შეხედვით უმცირესიდან: ავტოკალმიდან. შევიდეთ ნებისმიერ მაღაზიაში.

მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ ი: ავტოკალამი გაქვთ?

გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ი: (გუნებაგანწყობის მიხედვით, ან თავაზიანად პასუხობს, ან უღრენს, ანდა მუნჯურად უთითებს თბილისური მარკის სხვადასხვა ფერისა და ასორტიმენტის ავტოკალმებზე.).

მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ ი: (გულნაკლულად) აჰ, თბილისურია? (ელდანაკრავი გადის მაღაზიიდან).

კ ი თ ხ ვ ა: რაშია საქმე?

პ ა ს უ ხ ი: თბილისური ავტოკალმები განვითარების ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე დგანან, ღვენთავენ, იოლად იგრიხებიან, და, ერთი სიტყვით, სულ მალე გამოდიან მწყობრიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვისაც არ სჯერა ეს ამბავი, დე, თვითონ შეიძინოს ერთი ასეთი ეგზემპლარი.

მაგრამ, კალამი კალამია. ბოლოსდაბოლოს, როგორმე შევძლებთ უმისობას. ან ვინმეს ჩამოვატანინებთ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ან ვინმე გულმოწყალე გვაჩუქებს სხვა ქალაქთა ვარგის ნაწარმს. მაგრამ, აფსუს, რომ სიტყვა „თბილისური“ ასეთ საფრთხობელად აქცია ჩვენმა ზოგიერთმა წარმოებამ?

— ქალიშვილო, თქვენ მგონი მზად დაეძებდით. ანდა, რატომ არ უნდა დაძებნოთ, როდესაც იცით, რომ ამაზე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა, რომ ჩვენი მემოდელეები გატაცებით მუშაობენ მრავალ მოდელზე, ისეთ მოდელებზე, რომლებიც დაამშვენებენ ადამიანს, გამოავლენენ მისი სხეულის სილამაზეს, არ ჩამორჩებიან დროის სუნთქვას მოდების სამყაროში. და ჩვენც მივდივართ. ვარჩევთ კვლავ ნებისმიერ მაღაზიას (მზატანსაცმლის მაღაზიები ხომ ასე უხვად მოიპოვება ჩვენს დედაქალაქში!).

ხარიხებზე მრავალფეროვნებაა.

ჩვენ ვსინჯავთ მრავალ კაბას (სხვათაშორის უნდა ითქვას, რომ აქაური გამყიდველები თითქმის ყოველთვის თავაზიანები არიან; ალბათ იმიტომ, რომ თვითონ კი არ გვაწოდებენ, ჩვენ თავად ვსინჯავთ საქონელს).

ერთი... მეორე... მესამე... რა მშვენიერი ფერისაა ის კაბა! ქსოვილიც დიდებულია!.. ყოჩაღ, ჩვენო ფეიქრებო! მაგრამ... ასეთი ფასონის კაბას დღეს რომ არავინ ჩაიცვამს! ანდა, რა საჭიროა ეს ჩატანებული გულისპირები, საყელოები და თუ სხვა გასაწყობი. რომლებიც, მეტი რომ არ ვთქვათ, ფერითაც არ ეხამებიან კაბას? თქვენ კი, ქალიშვილო, ჯობს ისევ საკაბე იყიდოთ, ანდა, ატელიეს მიმართოთ. თორემ ასეთ კაბაში გამოწყობილი მაინცდამაინც კარგი სანახავი არ იქნებით.

აფსუს „თბილისურო!“.

იქნებ მეტიც მოგვდის? მაგრამ ეს ხომ უკეთესისა და უკეთესის სურვილითაა გამოწვეული? ეს ხომ წრფელი გულისტკივილია ადამიანებისა, რომლებიც ხედავენ, რა გამაგებით აწყდებიან მომხმარებლები დახლებს, სადაც სხვა მარკის ფეხსაცმელია გამოფენილი! განა ამ ფეხსაცმელების ტყავი უკეთესი ხარისხისაა? პირიქით. მაგრამ ისინი გაცილებით ლამაზები არიან. ამ ბოლო ხანში თბილისური მარკის ფეხსაცმელები საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ თავიდან დათესილი უნდობლობა კვლავ ვერ გაფანტულა მომხმარებელში. მას ეშინია, რომ ვაითუ ლურსმანმა ამოყოს თავი, ვაითუ წებო გალღვეს, ვაითუ ქუსლი მოტყდეს...

გნებავთ, სხვა სატკივარიც გაგახსენოთ? მაშინ უნდა ჩამოვთვალოთ ჩვენი თოჯინები, ჩვენი სათამაშო თოფები, ჩვენი მოსამართი სათამაშოები (თუნდაც „გოგონა საწოლში“) და სხვა და სხვა, მაგრამ ვფიქრობთ, ზემოდნათქვამიც საკმარისია, რომ გულში ტკივილმა გაგვიაროს.

ჩვენც გვინდა, ისევე როგორც ყველა ქართველს, ყველა თბილისელს, სიტყვა „თბილისურის“ გაგონებისას გული სიამაყით აგვევსოს. გვინდა, რომ „თბილისური“ მარკის საქონელმაც მაღლა ასწიოს ჩვენი დედაქალაქის სახელი. „თბილისურია?“ — მაშასადამე კარგია. მომაწოდეთ თბილისური!“

**ნაზი კილასონია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საზღვრების მიღმა

## იხსენით ჩვენი შვილები!

ტასოს დიმუს წერილი

იტალიაში ბერძენ პოლიტიკურ ემიგრანტთა ბეჭდვითი სიტყვის ორგანომ — „საბერძნეთის ხმამ“ — გამოაქვეყნა საბერძნეთის ბეჭდვითი სიტყვის მშრომელთა ფედერაციის გენერალური მდივნის ტასოს დიმუს მიმართვა მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებისა და ბეჭდვითი სიტყვის ასოციაციებისადმი, ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი.

„ჩვენს ქვეყანაში დიქტატურის დამყარებამ ბევრი ოჯახი დაანგრია, ბევრი ბავშვი დააობლა“, — წერს ტასოს დიმუ, რომელიც ამჟამად იძულებულია ათენის ოხრანკას დაემალოს. ის გვიამბობს, რომ მისი მეუღლე გადატრიალების პირველსავე დღეს დააპატიმრეს და კუნძულ იურას საკონცენტრაციო ბანაკში ჩააგდეს. ორი ბავშვი — ექვსი და რვა წლისანი უდედმამოდ დარჩნენ.

„მაგრამ ეს არ არის ყველაფერი! — განაგრძობს დიმუ. — ხუნტის ბრძანებით, პოლიციელები ღამით შეიჭრებიან ჩვენს სახლში, თავდაყირა დააყენებენ მთელ სახლს, აღვიძებენ შიშით დაზაფრულ ბავშვებს და ემუქრებიან მოხუცებს, რომ ყველაფერს დაანგრევენ და ყველას გაანადგურებენ, თუ მათ არ ეტყვიან ჩემს ადგილსამყოფელს“.

ასევე აბუჩად იგდებენ სხვა ემიგრანტთა და პოლიტპატიმართა ოჯახებს. მაგრამ კიდევ უფრო უარესია ის, რომ მათ ბავშვებს უპირებენ „აღსაზრდელად“ პოლიციას გადასცენ, იმისათვის, რომ ჩაკლან მათში უწმინდესი გრძნობა — მშობლების სიყვარული! ეს ნაცისტურ დანაშაულობას ჰგავს.“

„დაიცავით ჩვენი შვილები! — ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ ბერძენ ბავშვებს შუაღამისას არ აღვიძებდნენ. მათ უკვე წაართვეს მშობლები, დაე, ძილში მაინც იყვნენ მშვიდად, — წერს ბოლოს დიმუ. — მე საშუალება არ მაქვს დავუკავშირდე ჩემს შვილებს. გადაეცით მათ, რომ ეს მოწოდება მამობრივი სიყვარულის უსტარია. ვაჟკაცობა გმართებთ, ჩემო შვილებო! ჭექა-ქუხილი გადაივლის. თქვენი დედ-მამა ყოველთვის ოცნებობდა იმაზე, რომ ენახეთ თქვენ და დედამიწის ყველა ბავშვი მშვიდობიანი და ბედნიერი. ამ იმედს ჩვენ ვერავითარი ხუნტა ვერ წაგვართმევს“.

## კიდევ ერთი „სევდიანი ოდისეა“

თორმეტი წლის სისტინა უკვე დიდიხანია ქუჩის კუთხეში იდგა. წვიმა ცრიდა. სიცივისაგან აკანკალებული, მთლად დასველებული გოგონა თავის ადგილს არ ტოვებდა, თუმცა კარგახანია დაჰკარგა იმის იმედი, რომ დღეს მის მშობლებსა და ოთხ უმცროს ძმას ვახშმად რამე ექნებოდათ...

არა, სისტინა როდი მათხოვრობს! ის „საოჯახო პროდუქციის აგენტია“ — მამამისის შეკერილი ფეხსაცმელი დააქვს გასაყიდად. მამამისი, ჯერ სულ ახალგაზრდა კაცი, ლოგინზეა მიჯაჭვული და სამუშაოს ვერ შოულობს, ან რას იშოვნის, ადგილის პოვნა ახლა ჯანმრთელ ვაჟკაცებსაც უჭირთ! არადა, რა ჯანმრთელი იყო ბენედეტო იაკობელისი, როცა ორი წლის წინ სამუშაოს საძებრად სამხრეთიდან ჩამოვიდა! წარმოიდგინეთ, მან მშენებლობაზე სამუშაოც კი იშოვა. მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ადგილის დაკარგვის შიშმა და მცირე ხელფასმა აიძულა ბენედეტო ზედმეტი საათები ემუშავა, დღეც და ღამეც. მთელი წლის დამქანცველმა შრომამ ის ინვალიდად აქცია. კიდევ ნახევარი წლის შემდეგ უმუშევრობის გამო დახმარების მიცემაც შეუწყვიტეს.

დარჩა ბენედეტო უმუშევარი, უსახსრებოდ და უჯანოდ, ხუთი ბავშვით ხელზე. ასე იქცა ის სახლში მომუშავე თერძად,. სისტინა კი ბავშვებს შორის ყველაზე უფროსი — მოხეტიალე მევაჭრედ. გოგონას სუსტ მხრებს მძიმედ დააწვა გაჭირვებაში ჩავარდნილ ოჯახზე ზრუნვა.

დღე სისტინა ქალაქში დახეტიალობდა თავისი საწვრილმანოთი, საღამოს კი სკოლაში მიდიოდა (დღის სკოლაში სწავლას ცხადია. თავი დაანება).

პატარა სისტინას ამბავმა შეაძრწუნა იტალიელები. იაკობელისების ოჯახის ბედს „ნაღვლიან ოდისეას“ ადარებენ.

ასეთი „ოდისეები“ ხვდა წილად ამ ბოლო ხანებში ათიათასობით იტალიურ ოჯახს. ოფიციალური მონაცემებით იტალიაში მილიონზე მეტ ადამიანს საერთოდ არა აქვს სამუშაო. ნაწილობრივ უმუშევართა რიცხვი სოფლის მეურნეობაში 820 ათას აღწევს, მრეწველობაში — 180 ათასს. ძლიერდება მშრომელი მოსახლეობის მიგრაცია იტალიის ჩრდილოეთ პროვინციებში.

მაგრამ განა ჩრდილოეთში სამუშაოს ყველა პოულობს? აქ თავისი უმუშევრებიც ბევრი ჰყავთ და მათი რიგები სულ უფრო იზრდება.

უმუშევრობა სულ უფრო და უფრო დრამატიულ ფორმებს იღებს“. — წერს შეშფოთებით გაზეთი „უნიტა“.

## ფული და ინდოელი ბავშვი

ინდოელ ბავშვებს, ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ბავშვს, უყვართ თოჯინებთან თამაში, ფერადი გადასაყვანი სურათები. მაგრამ, წარმოიდგინეთ, აღმოჩნდნენ ინდოეთში ძიები — ინდუსტრიული მაგნატები, კომერციისა და მრეწველობის ინდოეთის პალატების ფედერაციიდან (ფიკკი), რომლებსაც ასეთი ბრწყინვალე აზრი მოუვიდათ. თოჯინები — თანამედროვე თამაში არაა.

რა სიკეთის მოტანა შეუძლია, მაგალითად. თოჯინას ბავშვისათვის, „ნამდვილი საქმოსანის“ ინსტიქტის ჩამოყალიბებაში? ან რომელი გადასაყვანი სურათი ჩაუნერგავს ბავშვს მოხვეჭისა და შეძენის სურვილს, სიძულვილს კონკურენტისადმი, ბიზნესმენის სისასტიკეს? ჰოდა, ფიკელმა ძიებმა გადაწყვიტეს საკუთარი წვლილი შეიტანონ მომავალი თაობის აღზრდაში.

და აი, ბომბეის ერთ ფხიან ფირმასთან ერთად ფიკკიმ ახალი სათამაშო გამოუშვა. სახელწოდება? „მონოპოლია“. თამაში ასწავლის ბავშვებს... ფულის „გაკეთებას“ ინსტრუქციაში სწორედ ასეა ნათქვამი: „მაგიდის სათამაშო. ვაჭრობა კერძო საკუთრებით“.

თამაში ასეთია: ყოველ მონაწილეს ეძლევა ასი „რუპი“. თამაშის მანძილზე „რუპი“ ხელიდან ხელში გადადის. „გამდიდრებული“ ნორჩი მოთამაშენი იწყებენ „მიწის ნაკვეთების“, „რკინიგზებისა“ და „ელექტროსადგურების“ შესყიდვას. კიდევ რამდენიმე მარჯვე სვლა და მოგებას უკვე ბრუნვაში უშვებენ, ბავშვი ბიზნესის ლაბირინთით მისი მოელვარე მწვერვალისაკენ — მონოპოლიისკენ მიემართება. ვინც „მონოპოლიას“ შექმნის — მოიგებს. ვინც „გაბანკროტდება“ — სავალე ციხეში“ მიდის.

თამაშის გამომგონებლები ცდილობენ თამაში მაქსიმალურად მიამგვანონ სინამდვილეს. მაგალითად, როგორ უნდა გამოვიდეს მოთამაშე „ციხიდან“ და ისევ დაადგეს ბიზნესის გზას? პირველი ვარიანტი (გაიოლებული) ასეთია — მოიხადე შენი მსჯავრი. მეორე ვარიანტი — (უფრო გამოცდილი, ნიჭიერი მოთამაშეებისათვის) — ქრთამი მიეცი და ციხიდან ადრე გამოხვალ.

ამ „შესანიშნავი“ თამაშის გამომგონებელმა „ფიკელმა“ ძიებმა მარცხი განიცადეს: „მონოპოლიის“ ჭრელი ყუთები მტვრით იფარება მაღაზიის თაროებზე. პატარა ინდოელები კი სათამაშოდ კვლავ ბურთს და თანამგზავრის მოდელს ირჩევენ.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## ვისაუბროთ ჩვენს შვილებზე

# გრძნობათა აღზრდა

საკავშირო პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ასაკობრივი ფიზიოლოგიისა და ფიზიკური აღზრდის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მონაცემებით, 1925 წლიდან 1965 წლამდე, ე. ი. 40 წლის მანძილზე. თხუთმეტი წლის მოზარდთა საშუალო სიმაღლე გაიზარდა 6-13 სანტიმეტრით, წონა — 3,5-9,8 კილოგრამით, ხოლო გულმკერდის გარშემოწერილობა — 2-7 სანტიმეტრით. სხვანაირად რომ ვთქვათ, დღევანდელი 11-12 წლის მოზარდი ისე გამოიყურება, როგორც 40 წლის წინანდელი 15-16 წლის ახალგაზრდა.

შესაბამისი ცვლილებები მოხდა მოზარდთა ორგანიზმის შინაგან ფუნქციებშიც. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ნორვეგიის ფიზიოლოგიური სკოლის მონაცემების მიხედვით, იმ დროისათვის სქესობრივი მომწიფების საშუალო ასაკი 17 წელი იყო. გერმანელ მკვლევართა (კოხის სკოლის) მონაცემების მიხედვით, გერმანიაში 1906 წელს ქალიშვილის სქესობრივი მომწიფება იწყებოდა 15,5 წლის ასაკში, 1934 წელს — 13 წლის ასაკში, 1960 წელს კი — 12,5 წლის ასაკში. ამავე პერიოდს უახლოვდება ბიჭების სქესობრივი მომწიფებაც (განაყოფიერების, სექსუალური ინტერესებისა და ინტიმურ მიდრეკილებათა უნარის გამოვლინება).

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: სქესობრივი გრძნობები და მიდრეკილებები მოზარდებს სქესობრივ მომწიფებამდე უჩნდებათ. ერთს ეს გრძნობები და სურვილები უფრო ინერტულად და ბუნდოვნად ესახება, მეორეს — უფრო მკაფიოდ და ძლიერად; ზოგს ადრე უჩნდება, ზოგს კი მოგვიანებით. საერთოდ კი, გოგონების სქესობრივი მომწიფება იწყება 11-12 წლის ასაკიდან, ბიჭებისა — 12-13 წლის ასაკიდან; გოგონების მომწიფება სრულდება დაახლოებით 15 წლის ასაკში, ბიჭებისა კი 16-17 წლის ასაკში.

სქესობრივი გრძნობების, ინტერესებისა და უნარის ადრეულ ასაკში გადმონაცვლების მიზეზი არა მარტო მასში მომხდარი ფიზიოლოგიური ცვლილებებითაა განპირობებული, არამედ სხვა მრავალი მასტიმულირებელი ფაქტორითაც (უფროსებისა თუ ამხანაგების ნაამბობი, გადამდები და გამღიზიანებელი მაგალითი, სიყვარულისა და სქესობრივი აქტების ამსახველი ლიტერატურის კითხვა, ამ საკითხთან დაკავშირებული ფილმების ნახვა, საოჯახო ყოფის სურათები და სხვ).

მოზარდთა ადრეულ სქესობრივ მომწიფებას ხელს უწყობს აგრეთვე თანამედროვე ცხოვრების კომფორტიც: ბავშვთა განთავისუფლება სერიოზული ფიზიკური შრომისგან, მოცალეობის გაზრდა, ფუფუნება და სხვა. ყოველივე ამის შედეგად არამც თუ ძლიერდება, არამედ უფრო სუსტდება ზნეობრივი შეკავების რეფლექსებიც.

სქესობრივი მომწიფების პროცესი (ცვლილებები შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში, ატროფია მკერდსუკანა ჯირკვლისა, ამოქმედება სასქესო ჯირკვლებისა, ამ უკანასკნელის გავლენა ტვინის მუშაობაზე იწვევს აღგზნებადობის აწევას, ნერვული პროცესების წონასწორების შესუსტებას, ამის შედეგად კი ხასიათისა და ქცევის მკვეთრ, ერთი შეხედვით, არამოტივირებულ ცვალებადობას და სხვა, რაც ზეგავლენას ახდენს მოზარდთა ინტელექტზე, ახალ მიმართულებას აძლევს მათ ინტერესებს და ცვლის ურთიერთ დამოკიდებულების ხასიათს.

ეს პერიოდი ძალზე მნიშვნელოვანია მოზარდის ცხოვრებაში. ამ დროს ღრმა და მრავალმხრივი ცვლილებები მიმდინარეობს მის ფსიქიკასა და ორგანიზმში. ამ პერიოდში ხდება მოზარდის ფიზიკური ზრდა. კუნთების დამსხვილება. ენერგიის მოჭარბება და ემოციური სფეროს გაფართოება. ამავე ასაკში პირველად აქცევს ყურადღებას მოზარდი თავის შინაგან მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს და პირველად ხდის მათ მსჯელობის საგნად. ამ გზით ის აღწევს შინაგანი სამყაროს, საკუთარი „მე-ს“ აღმოჩენას, ამ ნიადაგზე კი, როგორც საკუთარი არსების, ისე მის გარშემომყოფთა სილამაზესაც შენიშნავს. სილამაზისადმი მისწრაფება მძაფრ ხასიათს ღებულობს და მოზარდს სიყვარულის იმპულსები იპყრობს.

ახალი მდგომარეობით გამოწვეული გრძნობების საფუძველზე, მოზარდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მისდამი უფროსების დამოკიდებულებას. ის ძალზე შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, როცა ეუბნებიან: „შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ“, „რა შენი საქმეა, ლაპარაკში რომ ერევი“, „პატარა ხარ და უფლება არა გაქვს ასე გვიან დაიძინო“ და სხვა. ასეთ შემთხვევაში მოზარდები არამც თუ შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, არამედ ცდილობენ კიდეც დაამტკიცონ თავიანთი „სრულასაკოვნება“ (უკანასკნელი კი ხშირად გულუბრყვილობითა და ბავშვობით მოსდით).

სქესობრივი მომწიფების (საშუალო სასკოლო) ასაკში მოზარდებს ახასიათებთ არამარტო ემოციური აღგზნებადობა, არამედ გრძნობათა გარკვეული არასიმყარეც. მიუხედავად მერყეობისა, ამ ასაკში მოზარდი მაინც ავლენს თავის გრძნობათა კონტროლის უნარს. მას შეუძლია თავისი ნამდვილი ღელვის მიზეზების დაფარვა. უფრო მეტიც: იმის შიშით, რომ მისი ქცევა სასაცილოდ არ აიგდონ, პატარად არ ჩათვალონ, იგი ხშირად შენიღბვასაც მიმართავს და თავი ისე უჭირავს, თითქოს მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მომხდარ ფაქტს და ამიტომ გულგრილია აღნიშნულის მიმართ. ეს კი მშობელს აბნევს, მას ვეღარ გაუგია შვილის ღელვისა და განცდების ნამდვილი მიზეზი.

არადა, ყველაფერი ახალია მოზარდის ცხოვრებაში, მის მისწრაფებებსა და სურვილებში. მის განცდებში. ეს ძალზე მძაფრ მოთხოვნას უყენებს ბავშვს ჰყავდეს ვილაც, აზრთა თანამოზიარე, მეგობარი. რომელსაც თავის მისწრაფებებს, ოცნებასა და საიდუმლოებას გაანდობს.

ხშირად მშობლები იბნევიან, იღებენ არასწორ გადაწყვეტილებას. კი არ ურჩევენ და არწმუნებენ, არამედ ბრალს სდებენ და საყვედურობენ ისეთ ფორმებში, რომ იწვევენ მოზარდთა პროტესტს, რაც შვილებსა და მშობლებს შორის იწვევს დაძაბულობას. უნდობლობას, დაბოლოს კი — კონფლიქტსაც. აღნიშნული მიზეზის გამო მოზარდები ხდებიან კარჩაკეტილები, გულჩათხრობილები, ერიდებიან მშობლებთან გულახდილობას, უფრო მეტიც, თუ შვილი მოკლებულია მშობლის სითბოსა და მეგობრულ თანაგრძნობას. ოჯახის მხრივ მხარდაჭერას, მასში ილვიძებს სურვილი იმისა, რომ იშვიათად იყოს შინ, უკიდურეს შემთხვევაში ოჯახიდანაც კი გარბის.

განსაკუთრებით სახიფათოა ასეთი კონფლიქტი იმ შემთხვევაში, როდესაც შეინიშნება მოზარდის პირველი სიყვარულით გამოწვეული ემოციები. დ. პისარევის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ოცნებასთან ხუმრობა სახიფათოა; დამსხვრეულმა ოცნებამ შეიძლება კაცს ცხოვრებაში უბედურება მოუტანოს“.

ამ შემთხვევაში მშობელმა შვილის განსაცდელი გულთან ახლო უნდა მიიტანოს. თავისითავი წარმოიდგინოს შვილის ადგილზე და სალად განსაჯოს საკუთარი დამოკიდებულება შვილის მიმართ. მაგრამ მშობელთა უმრავლესობას ამაზე ფიქრი ადრეულად მიაჩნია, ნაადრევად მიაჩნია ამ საქმეში მოზარდთა გათვითცნობიერება და ამ მხრივ აღზრდაც. მათი აზრით, მოზარდთა მოვალეობა მხოლოდ სწავლაა, რაც შეეხე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნანა

ტექსტი და მუსიკა მარიამ ბიწკინაშვილისა

ნანი, ნანა, საყვარელო, ნანა იავნანა...
დაიძინე, ინებივრე, პატარა ხარ სანამ:
გაიზარდე. დავაუკაცდი, მზე გიკოცნის თვალებს,
მხრებით მისწვდი კოსმოსსა და დაიპყარი მთვარე;

შენს ქვეყანას ემსახურე სიმართლით და გზნებით,
მამაცობით მოგედაფნოს წინ სავალი გზები.
ნაზა, შვილო, მოგვევლინე ლამაზ დღეთა მხატვრად,
დედის გული გაახარე, ამიხდინე ნატვრა






ეროვნული ბიბლიოთეკა